# სახალხო გაზეთი

№ 948 შაბათი, 20 ივლისი 1913 წ. № 948

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სიდამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დახაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



## სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი მკათათვიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 4 მ. 50 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.


კონსტანტინე, პლატონ და ვარლამ ლევანის ძენი გელოვანები და მეუღლენი მათნი ალექსანდრა გრიგოლის ასული, ნადეჟდა ბესარიონის ასული და ნინო გიორგის ასული აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 20 ივლისს დაუვიწყარის მათის დედის

## ანეთინა დესპინე მერვამიძის

ასულის გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს დანიშნულია წირვა და პანაშვიდი განსვენებულის საფლავზე ახალ-ქალის საგვარეულო ეკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. 1407

## ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭო

ამით აცხადებს, რომ ჭიათურის

**სამოქალაქო სკოლის სამთო-სატეხნიკო განყოფილებაში მიიღებიან ყმაწვილები**

არა ნაკლები 16 წლისა და არა უმეტეს 22 წლისა, რომელთაც ექნებათ დამთავრებული სამოქალაქო სასწავლებელი 1872 წლის დებულების მიხედვით, ან რომელიმე ასეთივე უფლებიანი სასწავლებელი. მხოლოდ განყოფილებაში შესვლის მსურველნი გამოიცდებიან რუსულ ენაში, არითმეტიკაში და გეომეტრიაში.

**გამოცდები დანიშნულია 28 აგვისტოსათვის.**

თხოვნებს მიიღებს ჭიათურის სამოქალაქო სკოლის ინსპექტორი 1913 წ. 20 აგვისტომდის. 1391

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.**

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12 ½—. ს.<br>**ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>**ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12 |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და ხუშობ სნეულებანი | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.<br>**სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე 2—3. |
| ბავშვთა სნეულებ. | **ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½ ს.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1<br>**ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | **გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით $10^1/_2$—11.<br>**ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12<br>**ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2 |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე $1^1/_2$—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, ,,606'' და ,,914'' წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

## ახალ კლუბთან არსდება ქალთა და ვაჟთა მომღერალთა გუნდი

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ და ჩაეწერნენ კლუბის დირიჟორ **ს. ი. პრესმანთან.**

ყოველ დღე დღით 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, ხოლო საღამოთი 9 საათიდან ღამის 11 საათამდე. 1401

პირველ-ხარისხოვანი



## დიდი ცირკი ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან. ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

**დღეს, 20 ივლისს, 1913 წ.**

გაიმართება დიდი წარმოდგენა, რომელსაც ჰქვია:

## შაბათობა

ამ დღეს სატახტო ქალაქების მიხედვით წარმოდგენას ესწრება უმაღლესი არისტოკრატია და ამორჩეული ნომრებიც წარმოიდგინება. ზოლონდელი გასტროლი მართლაც მთელ ქვეყანაში სახელგანთქმული ,,ჰაერის მეფეთა'' **4 ეშმაკისა,** რომელნიც შეასრულებენ ერთეულს, ორმაგს, სამრიგს და არაბულს სალტომარტალეს. მათი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია ცირკის გუმბათ ქვეშ. დღესვე მონაწილეობას მიიღებენ: გულადი მსწრაფლმავლი მავთულზე ველოსიპედით **ბ. ნიკოლინი.** მუსიკოსი-ექსცენტრიკოსები **ძ.ძ. ბროკარსები,** უშიშარი ტურნიკზე მოვარჯიშე **ჟან ლვოვი,** გამოჩენილი მოჯირითე ქალი **თამარა.** გამოსვლა სხვა და სხვა ხმოვან გუნდისა **ბ პეტროვის** ხელმძღვანელობით. **ანონსი:** ხვალ, კვირას, ორი დიდი წარმოდგენა დღისით მონაწილეობა იღებენ **4 ეშმაკი.**

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.** 446. გამგე: **ლ. მ. ხუნდაძე**

## ,,თემი''-ს გამოცემა

**ს. აბაშელის ლექსთა კრებული**

## ,,მზის სიცილი''

ავტორის სურათით და ბ. ივ. გომართლის კრიტიკული წერილით,

**ფასი 50 კაპ.**

ვინც გამოიწერს ფასდადებით არა ნაკლებ 10 ცალისა, მას დაეთმობა 25%, საკომისიოდ—20%.

1380 მისამართი: გაზ. „თემის" კანტორა, ოლგის ქ. № 4.

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

**საზოგადოების გამოცემული და საკუთარი წიგნები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| მტრედი, შმიდტისა | 10 კ. | საქართვ. ისტორია, ვახუშტისა | 2 მ.— |
| მამის ერთგული | 15 ,, | სტატისტიკური ცნობ საქ. შესახებ | 2 მ.— |
| მეფე დიმიტრი თავდადებული | 7 ,, | უცნაური ამბავი | 4 ,, |
| მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა | 30 ,, | ფიზიკური გეოგრაფია, იაშვილისა | 20 ,, |
| მგზავრის წერილები | 7 ,, | ქართვ. პოეტების რჩ. ლექსები | 25 ,, |
| ნაწყვეტები პოლიტ. ეკონომიიდან, ა. წულუკიძე | 50 ,, | ქართ. სახ. სიმღერები ი. კარგარეთელი | 50 ,, |
| ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი | 3 ,, | ქართ. ეროვნული სიმღ. დ. არაყიშვ. | 20 ,, |
| ოქროს მოყვარულნი | 15 ,, | ქაჯანა | 5 ,, |
| ოთარაანთ ქვრივი | 18 ,, | ქილილა და დამანა | 1 მ.— |
| რუსულ-ქართ. ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა | 2—40 ,, | ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლის ვარიანტით | 3 მ.— |
| რობინზონ კრუზე | 30 ,, | ყვავილთა შორის | 45 ,, |
| რჩეული ლექსები ი. ჭავჭავაძისა | 7 ,, | ყოველის მხრიდან, ნ. ლომოური | 10 ,, |
| სალამური, კრებ. ზ. ჩხიკვაძისა | 25 ,, | შინაური საქონელი და მისი მოვლა | 5 ,, |
| სვიის გვირგვინი | 15 ,, | შექსპირის დრამები, ს. ყიფიანი | 20 ,, |
| საყმაწვილო მოთხრ. ეკ. გაბაშვილისა | 30 ,, | ჩარლზ პარნელი | 25 ,, |
| სახრჩობელაზე ი. ჭავჭავაძისა | 5 ,, | ციცარტყელა სალიტერატ. კრებული | 15 ,, |
| | | წიგნის ისტორია, დ. კარიჭაშვილი | 20 ,, |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 121.

**გამოსულია და იყიდება**

## ნ. შიუკაშვილის

პიესა ,,**მემონბრობა**'', დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ყაზაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. $9^1/_2$ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—$11^1/_2$ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$ ს.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—$11^1/_2$ ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ვ. ვ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა ,,606''-ით** 1035

## საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს საშარდე ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი** ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 408

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** 1 მარიამობისთვიდან მიიღებს ავად მყოფებს დილის 9—$11^1/_2$ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

**ექიმი** კბილისა **არჩილ დოლიძე** დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფ. მიღება ძველ ბინაზე (ნაძალად., ჩერქეზიშ. ქ. № 145). ყოვ.- დღ. 8—2 ს. 4—7 ს. 427

**ექიმი ა. შ. მიქელაძე** 15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117 ტელეფონი 816.

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა **ძაჯაია** იღებს ავადმყოფებს დილის 8-დან საღამოს 7 საათამდე. ვაგზლის ქუჩა, № 10. 1388

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს., ოლგას ქუჩის შესახვევი № 5. სახ მაქარაშვილისა.

## ქართული პრესა

„თანამედროვე ქვეყანა" ყოველის შემთხვევითა სარგებლობს დასწიხლოს „ნაციონალიზმი" ჩვენებურ შინაურ საქმეებს ეხება იგი, თუ საერთაშორისო პოლიტიკას, ყველა საკითხს მხოლოდ იმ მიზნით არკვევს, რომ ბოლოს „გამოარკვიოს" ჩვენებური „ნაციონალიზმი" და „დაამტკიცოს", რომ ეს ნაციონალიზმი იგივეა რაც გაბატონებულ ერთა ნაციონალიზმი. ეს პრიმიტიული აზროვნება და ერთგვარი ქინიანობა ისე მაგრა ჩამჯდარა ერთი ჯურის მწერლებში, რომ მოსვენებას აღარ აძლევს.

„ბევრი დაჩაგრული ერების ნაციონალიზმს უყურებენ (თუ უყურებს?) როგორც ისეთ მიმართულებას, რომელიც "საზოგადოდ წინააღმდეგია ეროვნული ჩაგვრის და მომხრეა ერთა თანასწორობის იდეისა. ერთი შეხედვით ეს თითქოს ასეც არის. დაჩაგრულ ერთა ნაციონალისტების პროგრამა მოითხოვს ეროვნულ თავისუფლებას თანასწორობის, ძმობისა და სწორ უფლებიანობის დასამყარებლად. მაგრამ ნაციონალისტები ასეთებად რჩებიან მხოლოდ მანამდი, სანამ ისინი თვით არიან დაჩაგრული, ხოლო როცა მათ საშუალება ეძლევა სხვაზე ბატონობის, მაშინ ავიწყდებათ მაღალ ფარდებში გახვეული ფრაზები თავისუფლებისა და თანასწორობის შესახებ და ჩვენს წინ დგებიან ჩაგვრა-მონობის მოციქულნი".

დასამტკიცებლად იმისა, რომ ეს ასეა, „თანამედროვე ქვეყანა"-ს მაგალითად მოჰყავს ბალკანეთის ამბები. ძნელი გასაგები არ არის, რომ ამ შემთხვევაში ძალიან ცუდი ანალოგია მოიყვანა „თანამედროვე ქვეყანა"-მ. რანაირიც უნდა იყოს ბალკანეთის სახელმწიფოთა მოთხოვნილება, იგი ყოვლად შეუძლებელია დავუპირისპიროთ ისეთი ერის მოთხოვნილებას, რომელსაც პოლიტიკური დამოუკიდებლობა აქვს. ბალკანეთის სახელმწიფოები დამოუკიდებელი სახელმწიფონი არიან და არც მათი მოთხოვნილებანი, არც მათი ინტერესი ანალოგიური არ იქნება იმ ერთა ინტერესებისა, რომლებიც პოლიტიკურ მონობას განიცდიან. ამისთანა ანალოგიის გაყვანა მხოლოდ დემაგოგიურის მოსაზრებით თუ მოხერხდება

მაგრამ, ვსთქვათ, ესეც მართალია. ვსთქვათ, მართლაც, ერი, რომელიც დღეს მონობაში იმყოფება, ხვალ, განთავისუფლების შემდეგ, თითონ დაუწყებს დევნას სხვებს. აქედან რანაირი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ. ნუ თუ ისეთი, რომ დამონებული ერისთვის საჭირო არ არის თავისუფლება? ეს ხომ ისეთი აბსურდია, რანაირსაც ვერც ერთი ჭკუათამყოფელი ადამიანი ვერ იფიქრებს. ამისთანა შემთხვევაში საჭიროა არა ერის დაჩაგრულ პირობებში დარჩენა, არამედ ისეთი პირობების შექმნა, რომ მის მიერ სხვის დაჩაგვრას ადგილი არა ჰქონდეს. ეს კი შეგნებული დემოკრატიის ვალია. ასეც უცქერის შეგნებული დემოკრატია ეროვნულ საკითხს „თანამედროვე ქვეყანა"-ს რა უნდა მოვსთხოვოთ? იგი იმითაც კმაყოფილია, თუ ორიოდე მაგარი სიტყვა მისთავაზა „ნაციონალისტებს": საცოდავებს, ეს პუბლიცისტიკა ჰგონიათ!..

* *
*

„თანამედროვე ქვეყანა"-ში ვინმე ნარიძე ობოლ მარგალიტებად მრავალ სიბრძნესა ჰფანტავს. საზოგადოებრივი აზროვნების დახასიათებაში ხომ ისეთს ნიჭს იჩენს, რომ არ შეგვიძლიან განსაკუთრებული ყურადღება არ მივაქციოთ.

„არასოდეს არა ვყოფილვართ მათ შესახებ დიდი აზრის,—სწერს საზოგადოებრივი აზროვნების ღრმა მკვლევარი ნარიძე,—მაგრამ მათმა უკანასკნელმა მოქმედებამ გადააჭარბა ყოველივე მოლოდინს. ისინი კაი ხანია მომხრეებს იძენდნენ ადგილების დარიგებით, სტიპენდიებით, ერთის სიტყვით, ერთნაირი მექრთამეობით. ამ აზრის ყიდვა-გაყიდვამ ჩვენებიც კი ჩაითრია და მყიდველთ დაუკავშირა".

ასე ახასიათებს ნარიძე თავის იდეიურ მოწინააღმდეგეთ. მთელი შინაარსი მათი მოქმედებისა ყოფილა მექრთამეობა, მოსყიდვა, ქურდულად მოპოვება მომხრეებისა. ეს ისეთი სიბრძნეა, რომ ძნელია ადამიანმა პასუხი გასცეს. ჩვენ მხოლოდ ის ლა დაგვრჩენია, მოწიწებით მუხლი მოვიდრიკოთ ამ სიბრძნის წინაშე და შევღაღადოთ ცას: „ღმერთო, გვიხსენ ასეთი პუბლიცისტებისაგან".

ხუმრობა კარგი საქმეა, ბ-ნო ნარიძე, მაგრამ თავისი ადგილი აქვს!

* *
*

მაშ, რა არის, თუ არა მოცლილი ადამიანის უადგილო ხუმრობა, როდესაც ბ-ნი ნარიძე სახალხო სახლში მომხდარ ამბებს ეხება, იმეორებს ჩვენს ნათქვამს, მაგრამ მაიც საჭიროდ მიაჩნია კბილი გაგვკრას:

„ტფილისის სახალხო სახლთან არსებული ქართული დრამატიული წრის რასკოლი ამ უფსკრულისაკენ გაქანებას ნიშნავს და „სახალხო გაზეთმაც" თავისი ბადე გადაისროლა დაბნეულთა დასაჭერად".

რომ სახალხო სახლთან არსებულ დრამატიულ წრეში ბევრი „დაბნეული" მოიპოვება და ბევრი „დაბნეული" აზრი ტრიალებს, ამაში ბ-ნ ნარიძეს სიამოვნებით დავეთანხმები, მაგრამ რა შუაშია აქ „სახალხო გაზეთი"? ეს, ალბათ, ალლაჰმა უწყის!.

## ახალი ამბავი

**ტფილისი**

◆ ჟენევის გაზეთ „ABC"-ში ვკითხულობთ: „**ბ. ლეო კერესელიძე** საუნივერსიტეტო საბჭოს მიერ **დაინიშნა** პრივატ-დოცენტად ჟენევის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის საზოგადოებრივ უფლების კათედრაზე. ბ. კერესელიძე ქართველია. ეს პირველი მაგალითია ჟენევის უნივერსიტეტში, რომ კავკასიის მკვიდრი პრივატ-დოცენტად ინიშნება, რაც გაამხნევებს ქართველ სტუდენტებს—იგინი კვლავ უფრო ბლომად ეწვევიან სასწავლად ჟენევას".

◆ გერმანიაში, ქ. ჰესენში, წრეულს ივლისში ოლიმპის ვარჯიშობის დროს (12 ბარიე) 400-ს კაცში **გაიმარჯვა** ოთხმა „შავარდენმა", და ამ ოთხში ერთმა ქართველმა, **მავრე ყიფიანმა,** პოლიტეხნიკუმის სტუდენტმა. ოთხივე დასაჩუქრებულ იქნენ ჰესენის გროს-ჰერცოგის მიერ გვირგვინით და დიპლომით. ამავე ჩვენმა „შავარდენმა" შარშანაც გაიმარჯვა ქ. დარმსტადტში.

◆ **გოლოვინის პროსპექტზე მომხდარ უბედურების გამო.** კედლის ჩამონგრევის დროს დაღუპულ თერძის არტემ დანიელიანცის ქვრივმა ქალაქის გამგეობას წერილობითი წინადადება მისცა: გაათავოს მასთან მორიგებით საქმე. დანიელიანცის ქვრივი ქალაქის თვითმმართველობისაგან 40,000 მან. თხოულობს.

◆ **შიოპურეს** გორის მაზრის სოფელ ხიდისთავის მცხოვრები ვ. ვ. ნონიკაშვილი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით დონის როსტოვში იყო გადასახლებული და ტფილისს თავის ნებით დაბრუნდა.

✦ **ელიობა.** დღეს, 20 ივლისს, მახათას მთის წმ. ილიას ეკლესია თვით დღესასწაულსა უქმობს. დილის რვა საათზე ამ დღეს ავლაბრის მთავარ-ანგელოზის ეკლესიის სამღვდელოება, შემოსილი და ჯვრებით ხელში, მახათის მთაზე გაემგზავრება და წმ. ილიას ეკლესიაში სწირავს.

✦ 18 ივლისს ესენთუკში **გარდაიცვალა** ტფ. სამოსამართლო პალატის წევრი ნ. ვ. პერესლენნი.

✦ **საკოოპერაციო კურსებზე** ლექციებს დიდძალი ხალხი ესწრება. 18 ივლისიდან ლექციების კითხვას შეუდგა ი. გ. ქუთათელაძე ჩვენის ქვეყნის კოოპერაციების შესახებ.

გუშინ კურსების მსმენელებმა ტფ. საკრედიტო ამხანაგობა დაათვალიერეს.

✦ **საბირჟო ცნობები.** 19 ივლისს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებდნენ — 85 მან., აძლევდნენ — 84 მან. 75 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—83 მან., აძლევდნენ—82 მან. 60 კ. და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—80 მან. 50 კ., აძლევდნენ—79 მან. 60 კ.

სახელმწიფოს მომგებიან ბილეთების საკურსო ნორმები შემდეგი იყო: პირველ სესხისა—486 მან., მეორისა—355 მან. და მესამისა—314 მან.

✦ **სამღვთო სჯულის მასწავლებელი მღვდელი თებზაძე,** როგორც თავის დროზე ვწერდით, ეპისკოპოსმა პიმენმა ქალაქის გამგეობის დაუკითხავად თანამდებობიდან დაითხოვა. ქალაქის თვითმმართველობამ დაადგინა, დათხოვნილ მასწავლებელს ერთდროულ დახმარებად 300 მან. მისცეს. ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ ეს დადგენილება გააუქმა.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ მიწათ-მოქმედების დეპარტამენტი მომავალ შემოდგომაზე მოახდენს ტფილისში ამიერ-კავკასიისა და თურქესტანის **მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტთა წარმომადგენელთა კრებას,** რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სხვა და სხვა საზოგადოებისა და დაწესებულების წარმომადგენელნი და კერძო მევენახენი.

## ცემი.

✦ ამ ორი დღის წინად შესდგა კონსილიუმი ოთხის ექიმისა ვახ. ლამბაშიძის მონაწილეობით, რომლებმაც დაწვრილებით გასინჯეს ავადმყოფი პოეტი ი. **ევდოშვილი.** ექიმების აზრით ავადმყოფს უკეთესობა ეტყობა, მხოლოდ მისი გამოკეთებისათვის საჭიროა უფრო ხანგრძლივი წამლობა და მოვლა. მადლობის ღირსნი არიან ექიმები: ვ. ლამბაშიძე, მირაკოვი, ქუთათელაძე და დემურია მხურვალე მონაწილეობისათვის.

## წაღვერი.

✦ გუშინ, 17 ამ თვეს, აქ გაიმართა ივ. სარაჯიშვილის კონცერტი. ხალხი მოსალოდნელზე ნაკლები დაესწრო. ეს იმით აიხსნება, რომ ადგილების ფასი მეტისმეტად ძვირი იყო და პროგრამაც პატარა. განსაკუთრებით მოეწონათ **ივ. სარაჯიშვილის** მიერ ნამღერი „გენაცვალე" რომელიც გაამეორებინეს.

## ბორჯომი

✦ სამშაბათს, 23 ივლისს პარკში გაიმართება **რობაქიძისა და გრიშაშვილის საღამო.**

## სოფლად.

✦ **სეტყვა.** კვირას, 14 ივლისს, სოფ. მუხრანში დიდი სეტყვა მოვიდა, რამაც მცხოვრებთ ბევრი ზარალი მისცა. სეტყვას საშინელი ნიაღვარი მოჰყვა, რომელმაც სულ წალეკა არე-მარე.

### შეცდომის გასწორება.

გრიშაშვილის ლექსში „შორეულს" დაბეჭდილი იყო მესამე კუპლეტის ბოლო სტრიქონი: „**ის თვით სიკვდილსაც ოცნებით ჰკარგავს**"! უნდა იყოს: „ის თვით სიკვდილსაც ოცნებით **ჰქარგავს**".

# საზოგადოებისადმი

დუშეთის მაზრის სოფ. მუხრანში თავადის მეუღლემ ანა ალ. მუხრან-ბატონისამ, უკვე რამდენიმე თვეა, დაარსა ხალხისათვის პირველი ამიერ კავკასიაში საბავშო „ბაღი-ბაგა". შეუძლებლობისა გამო ეს „ბაღი-ბაგა" ჯერ-ჯერობით განზრახულია 20 ბავშვისათვის, რომელთა წლოვანებაც არ უნდა აღემატებოდეს 7 წელ. და 3 წლ. არა ნაკლები უნდა იყვეს.

ამ ბაღი-ბაგის დაარსების ისტორია ასეთია: სოფელში დასახლებიდან, რამდენიმე წლის განმავლობაში თავადის მეუღლე ანა მუხრან-ბატონისა ცდილობდა და ყოველ ღონისძიებას ხმარობდა თავის ხალხის კულტურულად წინსვლისათვის და ბოლოს ნათლად დაინახა, რომ ამ დიად საქმეს, ხალხის კულტულურად განვითარებისათვის ცდას, ყველაზე უფრო შეეფერება წმინდა პედაგოგიური მიზანი, რომელმაც უპირველესად ყოვლისა უნდა შექმნას ხალხში ისეთი პირობები, რომლის შემწეობითაც ბავშვსა და შემდეგ მოზრდილსაც განუვითაროს თვით-მოქმედებისა, თვით-დახმარებისა და თაოსნობის უნარი. ამ მიზნით თავადის მეუღლემ დაარსა თავისუფალ აღზრდის პრინციპებზე დამყარებული ბაღი-ბაგა. და მართლაც, სრულიად რუსეთის მოძრაობის დამარცხებამ ნათლად დაგვანახვა, ისეთი საუკუნოებითი უმეცრება დიდი რუსეთის შემადგენელ ყველა ხალხის შორის, რომ ხალხის გონივრულად განვითარების აუცილებლობის იდეა, გაღვიძება ხალხში თვით-მოქმედების უნარისა, თვით ხალხისაგან გამოჩენა ცხოვრების პირობების სალი და გონიერი საზომისა და ამგვარად შეგნება ჩვენი ძალისა, რომლითაც გვიხდება მუშაობა, ბუნებრივად უკანასკნელ დროში საყოველთაოდ აღიარებულია.

„10 წლის განუწყვეტლივ სოფელში ცხოვრების დროს, ფხიზლად ვადევნებდი თვალ-ყურს ჩვენი გლეხის (ქართველი, სომეხი, ოსი) ცხოვრებას და ბოლოს მივიღე ახლო მონაწილეობა მის ცხოვრებაში,—„მე,— გადმოგვცემდა თავადის მეუღლე მუხრან-ბატონისა — ღრმად მრწამს, რომ ჩვენში—საქართველოში—ისეთი დაწესებულებანი, როგორიც სოფლის საბავშო—ბაგებია, სახალხო ბაღები იმ ტიპისა, რომლისაც სახელ-განთქმულმა თავისუფალ აღზრდის მომხრე და ხელის-შემწყობმა, ა. ფროლენკომ დაარსა რუსეთში, გახდებიან იმავე სასწაულებად, რომელნიც ადამიანს ცხოვრების ახალ გზას უჩვენებენ, გადაიქცევიან იმ პირთა ძალის ასამუშავებლად, ვინც იტანჯვის უმოქმედებით და თავის თავს ცხოვრებაში ზედმეტად სთვლის".

ეს ძვირფასი სიტყვები თავადის მეუღლის ა. მუხრან-ბატონისა შესაფერი ყურადღებით უნდა მიიღოს კავკასიის ხალხთა ინტელიგენციამ, რომელიც სნეულია რაღაც გაუგებარ გულგრილობითა და რომელმაც პრაქტიკულად ძალიან ცოტა რამ გააკეთა თავის ხალხის სულიერი მოთხოვნილებისა და სხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად. მცირე გამოცდილება, პატარა ცდა თავადის მეუღლის მუხრან-ბატონისა კავკასიის მკვიდრთა სოფელში, ადგილობრივი სინამდვილის პირობებში, სასოფლო „ბაგა" მომავალი სკოლის სახეა იმ გვარად დაარსებული, როგორც ა. მ. ფროლენკო ჰფიქრობდა ტფილისში ყოფნის დროს, რითაც მას ჰსურდა გადაეწყვიტა საჭირბოროტო სოციალური საკითხი—ერთი მხრით შემოკლება სიღარიბისა და გადაგვარებისა და მეორეს მხრით კი ნამდვილი საზოგადოებრივი აღზრდის ჭეშმარიტი მეთოდის შემუშავება. ამიტომ „ბაგა" ღირსია საზოგადოების სხვა და სხვა წრის დიდი ყურადღებისა.

მერე რამდენად საჭიროა ძალა, იდეური და მატერიალური დახმარება ამ წმინდა საქმისათვის! თავადის მეუღლემ მუხრან-ბატონისამ თავმდაბლად განაცხადა: კიდეც რომ მისმა ცდამ ნაყოფი ვერ გამოიღოს, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, ეს მისი ნამუშევარი მასალად მაინც დარჩება მომავალისათვის. ჩვენ კი, ჩვენის მხრით, მტკიცედ გვრწამს, რომ, როგორც ქართველი, ისე სომხის და სხვა ეროვნების საზოგადოება და ინტელიგენცია გულგრილად არ მოეკიდებიან ამ პატარა, მაგრამ წმიდა საქმეს და იდეიურად და მატერიალურადაც დაეხმარებიან მას, რათა ჩანასახშივე არ დაიღუპოს ეს ჭეშმარიტად კულტურული საქმე. მაშ დაეხმარეთ!

**ნ. სილვეროვი.**

P. S. კვირას 21 ივლისს „მუხრანის სასოფლო ბაგა", ვეტცელის სასტუმროს პირდაპირ მდებარე ციკლოდრომზე, ჰმართავს სეირნობას თავის მატერიალურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად უმთავრესად კი თავის საქველმოქმედო მოღვაწეობის გასაფართოებლად სოფლებში, რადგანაც „ბაგაში" შესვლის მსურველთა რიცხვი დიდია და „ბაგას" შეძლება კი არა აქვს, ამისათვის იძულებული ხდებიან უარი უთხრან პაწაწკინა ბავშვებს.

# მუშათა ცხოვრება

### ჭიათურა.

✦ 16 ამ თვეს შავიქვის ექსპორტერებსა და მუშებს ჰქონდათ მოლაპარაკება, რომლის გათავების შემდეგ ხელი მოაწერეს მუშების მოთხოვნილებებს შემდეგი ფირმების წარმომადგენლებმა: ფორვეუდისა, პახასისა და აგეზილა იავგერინოსა. პაპავამ განაცხადა: თუმცა ახლა ხელს არ ვაწერ, მაგრამ საერთოდ თანახმა ვარ ამ პირობებისა და მომავალ ორშაბათიდან ხელსაც მოვაწერ და მუშაობასაც დავიწყებო. ამგვარად ჭიათურასა და ფოთში ექსპორტერების უმრავლესობამ დააკმაყოფილა მუშების მოთხოვნილებანი. უკვე მუშაობენ შემდეგი ფირმები:

შულცე—ციმერმანი; ჩილინგირიანცი, გილერტი, ოგანეზოვი, ფორვუდი, მანუილიდი, მანულოპულო, კარნარო, პანასიე, აგეზილა, ავგერინო. ამათ გარდა დააკმაყოფილეს მუშები ქარხნების პატრონებმა და მრეწველებმაც.

დიდი ფირმისაგან არის დარჩენილი მხოლოდ „გელზენკირხენის საზოგადოება" (პერსენაკი) და „დარკვეთის საზოგადოება". პერსენაკმა განაცხადა: მე მზადა ვარ ყველა მუხლი მოთხოვნილებისა დავაკმაყოფილო, გარდა ერთისა, რომელიც შეეხება ქვის მაზანდის დაწესებასო (გადასწყდა საერთოდ, რომ ფუთ ქვაში მრეწველებს აძლევდნენ 8 კ.) „დარკვეთის საზოგადოება", როგორც გავიგეთ, უცდის საზღვარ გარეთიდან ცნობებს, პირადად არც მისი წარმომადგენელი არის წინადმდეგი.

ხელის მოწერის შემდეგ ორივე მხარემ დაუგზავნა ცნობები სოფელში წასულ მუშებს. თუ ეს უკანასკნელნი ერთ კვირის განმავლობაში არ გამოცხადდნენ, იმ შემთხვევაში პატრონებს ნება ეძლევათ დაიქირაონ ახალი მუშები.

### პეტერბურგი.

✦ 13 ივლის „პალის" სამანუფაქტურო ქარხნის მუშებმა, რომელნიც 45 დღე გაფიცული იყვნენ, მუშაობა დაიწყეს. სამუშავოდ ჩაეწერენ მხოლოდ საქსოვი განყოფილების 600 კაცი. ჩითისადი მიულის განყოფილების მუშებმა ძველ პირობებით მუშაობაზე უარი სთქვეს და ამის გამო ვერც საქსოვმა განყოფილებამ იმუშავა.

✦ შულცის ქარხნის გაფიცულ მუშათა შორის ჩხრეკა და დაპატიმრება მოახდინეს. დაპატიმრეს ორი მუშა. ამის გამო მუშებმა კრება მოახდინეს, რომელზედაც გადასწყდა განაგრძონ გაფიცვა მოთხოვნილებ ს დაკმაყოფილებამდე და დაპატიმრებულთა განთავისუფლებამდე.

### მოსკოვი

✦ რადგანაც კოლომნის მანქანათა საამშენებლო ქარხანაში მუშაობა შესწყდა, ქარხანამ დაუგზავნა შემკვეთელთ ბარათები, რომელშიაცატყობინებს, რომ შენაკვეთს დროზე ვერ შეასრულებს.

# მკვლევართა და მოგზაურთა საყურადღებოდ

შორაპნის მაზრაში, ჩრდილოეთის მხრით მდებარეობს უზარ-მაზარი მთები და კლდეები. ამ მთებს უწოდებენ მუხურისა და გოგნის მთებსა და კლდეებს. ეს თვალწარმტაცი სილამაზისა და თვალუწვდენი სიმაღლის კლდეები და მთები ძალაუნებურად ჰხიბლავს ადამიანს. ამ მთების კალთებზე, სადაც ქალები იწყება, მდებარეობს პატარა დაბა—ჩხარი. ამ დაბიდან შვიდი თუ რვა ვერსის მანძილზე ჩრდილოეთით მდებარეობს პატარა, მაგრამ მეტად ლამაზი, სოფელი გოგნი. ამ სოფლის ... კუთხით აკრავს თვალ-უწვდ... კლდეები და მთები, რის გამოც სოფელი მიუვალს ბუნებრივ სიმ... რეს წარმოადგენს. სოფლის ჩრ... ლოეთით მაღალ კლდეში არის ს... მეტად დიდი გამოქვაბული. ამ კლდ... თავზე არის ძველის-ძველი, ქვის ... ტარა სამლოცველო. სამლოცველ... ში დაცულია დიდს თლილ ქვა... საუცხოვო ხელოვნებით ამოჭრი... ხატი მაცხოვარისა, რომელსაც გ... ახვევიან წმიდანები და ანგელოზ... ამ ხატზე წარწერაც არის ამოჭრ... ლი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ვ... შევძელით მისი გარჩევა. ამ ქვის ხა... აქაური და შორეული სოფ... ბის ხალხიც სასწაულთმომქმედ ... ტადა სთვლის. როცა ამ პატარა ... ნობას სახურავი გადაეხდება, ხა... შეაკეთებს ხოლმე, სწირავენ შ... წირავს, ლოცულობენ და მის ახლ... მახლო ფოთოლსაც კი ხელს ... ახლებენ. შიგ ეკლესიაში ხატებ... გარდა მოიპოვება: ძველი კაჟი... თოფების ნამტვრევები, ხაფანგები ... ირმის რქები. სოფლის შუაგულ... არის ერთი ნანგრევი პატარა ეკ... სიისა, მაგრამ ეს უფრო ახლო ... სულს ეკუთვნის; ქვაზე ამოჭრი... ხატები აქაც ინახება. არის ამოჭრ... ლი წმ. გიორგი და სხვა წმიდანებ... მოხუცების გადმოცემით, ეს ხატ... აქ გადმოუტანიათ მეორე უძველე... ეკლესიიდან, რომლის ნაშთიც ა... არსებობს დღეს.

ს. გოგნი კიდევ იმითაა შესანი... ნავი, რომ იმერეთის უკანასკნელ... მეფე სოლომონ მეორე, როცა რ... სებს ეომებოდა და დამარცხებ... შემდეგ ილვტოდა, მოსულა ზემ... ხსენებულ სოფელში და რამდენ... დღე გაუტარებია. სწორედ სოფლ... შუა გულს, სადაც ეხლაც არის პ... ტარა ნანგრევი, სცხოვრობდა თურ... იმერეთის მბრძანებელი და რაინ... მეფე სოლომონი. ეს ადგილი მთელ... სოფლის თვალია და ხალხი ეხლ... „მეფის სასახლეს" ეძახის. როდესა... რუსის ჯარი გოგნს მოუახლოვდ... მაშინ მეფე თვისი ამალითა და ჯ... რით გავიდა ს. მუხურას და გამაგ... და ყოვლად მიუვალ და მთელს იმ... რეთში უდიდეს მუხურის ციხეში. ... ის დიდ ხანს გამაგრებულა და მრ... ვალჯერაც სასტიკად დაუმარცხები... რუსის ჯარი.

ს. გოგნი დიდად საყურადღებ... ისტორიული მნიშვნელობითა ... ძველი ნაშთებით. სოფელი და გა... შემო მდებარეობა მომხიბლავი ... თვალწარმტაცი სილამაზისაა. ზა... ხულობით ძლიერ გრილა და ჰავ... მეტად საღია; ზამთარი კი თურ...

# საზოგადოებრივი აზრები

### მე-XIX საუკუნის სიტყვა-კაზმულ მწერლობაში *).

(გაგრძელება).

როდესაც ვუკვირდებით ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთ, ვამჩნევთ, რომ მას მასა და მისი ფსიხოლოგია ნაკლებ აინტერესებს და არც დიდი აზრისაა მაზე. იგი რამდენჯერმე გასაჭირ მდგომარეობაში აყენებს პიროვნებას, სადაც მის ზნეობრივ ძალას და თავისუფალ ნების-ყოფას განსაცდელი მოელის და ყოველგან პიროვნება ზნეობრივად გამარჯვებული გამოდის. აბა მოვიგონოთ ის სცენა „გლახის ნაამბობიდან", სადაც მტკვრის აბობოქრებულ ტალღებში ადამიანი იხრჩობა და ბრბო კი სდგას და მხოლოდ ყაყანებს. იგი თითქოს ვერ მიმხვდარა, დაბნეულა და ვერ აბერხებს მოქმედებას, (ან შეიძლება, როგორც ძლიერ გრძნობათა ღელვის მოსიყვარულე, იგი თავისებურად სტკბება ამ სცენით), მაგრამ, როგორც კი გამოჩნდა ინიციატორი, (მღვდელი), რომელიც თავგანწირვით გადაეშვება მდინარეში სახსნელად, ეგ გაბედული ქცევა აღფრთოვანებს ბრბოსაც და ანგარიშ მიუცემლად სცვივა მდინარეში ერთი მაგალითით გატაცებული. ეგ ერთი ხაზი ბრბოს უინციატივობისა და მისთვის პიროვნების მნიშვნელობისა. მეორედ, ბრბო სდგას და სიცილხარხარით შე... ქერის ადამიანის ჩამოხრჩობას ... ვხედავთ თუ რამდენად ჰკარგ... ინდივიდუალობას თითოეული ... ანი ერთ ჯოგში შერეკილი, რ... ნაც აქ ინდივიდუალური ფსიხოლოგია მასის ფსიხოლოგიას ექვემდებარება.

ძლიერია საზოგადოება და მტკიცე ნაქედია მისი ჯაჭვები, რომელნიც ჰბოჭავენ პიროვნების თავისუფლებას და აკარწყლებენ ყოველივე მის თავისუფლებას. ჯერ-კიდევ დიდხანს ივლის ჩვენი ცხოვრება შაბლონურ ბურჟუაზიულ ოჯახისა და წყობილების გზით, დიდხანს ვერ ჩამოიშორებს იგი სხვა და სხვა ცრურწმენას. მაგრამ ამასთანავე უსაზღვროა პიროვნების ბრძოლა განვითარებისათვის და თავისუფლების განმტკიცებისათვის. საზოგადოება ერთობ რთული აგრეგატია და იგი ვერ უსწრებს განვითარების გზაზე ცალკე პიროვნებას; იგი ერიდება უცაბედ, გაბედულ ნაბიჯს ახალ იდეალისაკენ, ახალ ღირებულებისაკენ. გაცხარებული ფუს-ფუსი ახალ იდეალთა მოძღვრისა მას თავის საფუძვლის დამარღვეველ მოქმედებად მიაჩნია და ამ მოწინავე პიროვნებას, „გმირს" იგი „დამნაშავედ" აცხადებს; იგი მას სახრჩობლათი და ტყვიით ემუქრება, მაგრამ გაბედულად გრგვინავს თამამი ხმა განთავისუფლებული პიროვნებისა, იგი მიისწრაფის სიმართლისაკენ და უბადრუკ მოძნებს ზიზღით გადასძახის: „მძულს ქვეყანა და ადამიანი უფრო მეტად"-ო! საზოგადოება ყველა იმ პიროვნებას, რომელიც მას წინუსწრებს ყოველმხრივი განვითარებით, რომელიც ვერ ეტევა იმ ვიწრო ფარგალში, რომელიც საზოგადოებას შემოუხაზავს თავის სამოქმედოდ და ამიტომ მისი (პიროვნების) აჯანყებული ნება ახალ გზას ეძებს, დამნაშავეს უწოდებს და სასტიკად სჯის. ასობითაა ამის მაგალითი ხალხთა ისტორიაში. ჩვენი მგოსანი კი ამ ტიპს „ყაჩაღს" უწოდებს და ამ სიტყვას ხმარობს იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც ჩვენ „გმირი" გვესმის. საზოგადოების სათაყვანო ოჯახმა გაძარცვა ორი ობოლი (იხ. „სახრჩობელაზე"), უსახლკაროდ, უქმელ-უსმელი ქუჩაში გამოჰყარა და ისინიც, რამოდენიმე წლის განმავლობაში იძულებულნი იყვნენ მოწყვეტილ ცდომილივით ქუჩებში ეტანტალათ და გულში თავიანთ უფლებათა გათელვისათვის შურისძიება ესაზრდოებიათ. ყველა თავის ნაჭუჭში ჩაიკეტა, როდესაც ძათ მველას შესთხოვდნენ, მაგრამ ახლა კი, როდესაც წამოიზარდნენ ყოველივე დამონებულისა და დაჩაგრულისათვის შურის მაძიებელნი, ყველა აყაყანდა, მონათლეს ისინი „ავაზაკთა" სახელით და ზეიმითა და ზარით სახრჩობელაზე გაგზავნეს. თითქოს მართლდება ტომას ბორის სიტყვები: „თქვენ შექმენით ქურდები იმისათვის, რომ შემდეგ მათი დანაშაულის ხილვით დასტკბეთ"-ო.*)

მრისხანე და გაბოროტებული უარყოფის სულივით შავს ნაბადში გახვეული პირქუშად დაიარებოდა თავის ძმის სახრჩობელასთან ერთ-ერთი ამ „დამნაშავეთაგანი" და დააკვირდა თუ არა ამ ბრბოს, რომელიც მისი უბედურებით სტკბებოდა მიხვდა, რომ ის ერთი უკანასკნელი ძარღვიც ჩასწყდა, რომელიც მას ქვეყანასთან აერთებდა. მათი შემაერთებელი ხიდი საბოლოოდ ჩატყდა, ზურგი აქცია მან ამ ქვეყანას და თვალი იქით მიაპყრო, სადაც უნდა გამოჩნდეს მისი სიმართლე. ყაჩაღები არიან კაკო და ზაქროც, მაგრამ კაკო „გამოქცევია „უსამართლობას" და მის „სამეფოში არ არის მტრობა", „გაშლითა არის მისი სახლ-კარი და გულს უსრულებს რაც ენატრება"; ზაქრო? იგიც ჰფიქრობდა გარეულიყო უბრალო მოკვდავთა *) ჯოგში და მისცემოდა უწყინარს, პროზაულს ცხოვრებას, მაგრამ უსამართლობამ პირველ შეხვედრისათანავე სასიკვდილოდ ახლის და იგი თავის ტოლთან, თავის მზგავს პიროვნებასთან სიხარულით მიისწრაფის. ესეც ხომ „დამნაშავეა", ესეც ხომ „ყაჩაღია", მაგრამ მას უწყინარი მეურმეც შეჰნატრის და კაკოც სიხარულით იღებს: „მომწონს ეგ სიტყვა, შენც მომეწონე... მენდე, გაგიყო პირი და ლხენა"-ო.

რამდენადაც საზოგადოება ვითარდება, იმდენად პიროვნება ჰკარგავს თავისს მრავალფეროვანებას; რამდენადაც საზოგადოება ძლიერდება, იმდენად პიროვნება მარტივდება; რამდენადაც საზოგადოება ცენტრალიზაციისაკენ მიისწრაფის, იმდენად ერთ განუყოფელ მრავალმხრივს პიროვნებაში დეცენტრალიზაცია ხდება და „შეუგუებელი არსება კი, რომელიც სამარცხვინოდ არა ხრის თავის ქედს „არსებობისათვის ბრძოლის" დაუნდობელ კანონის წინაშე, იგი კიდეც დამარცხდება... **) ასეთია დინამიური კანონი ინდივიდუალობისაო,—სწერს მიხაილოვსკი.***) აი დახედეთ გაბრიელს, რომელიც ბუნებისაგან იმნაირადვე დაჯილდოვებული, როგორც კაკო და ზაქრო, მაგრამ მის დროინდელმა უფრო გაძლიერებულმა საზოგადოებამ და საზოგადოებრივმა ინსტიქტმა სძლია მას და თავისი გულისწყრომა ბოლომდი ვერ მიიყვანა. მაში დაისადგურა მისი მოქმედების სამართლიანობის ეჭვმა; მისთვის ამ სიმართლის კრიტერიუმი საზოგადოებაში არსებული ზნეობა და შეხედულებაა და, როდესაც პიროვნების მოთხოვნილება შეეჯახა საზოგადოების მოთხოვნილებათ, გაბრიელმა ვერ გაუძლო ამ კოლიზიას. იგი ქვეშ მოიყოლია იმ მთამ, რომელსაც თითონ ძირს უთხრიდა, მაგრამ ზნეობრივი გამარჯვება მაინც იმისია, რადგანაც სწამს, რომ ასეთ მდგომარეობამდი იგი „იმ ცეცხლმა მოიყვანა, რომელიც ყოველ ადამიანს უღვივის გულში"-ო, როგორც არწმუნებდა მის პატარა ბიჭობაში მისი პირველი მასწავლებელი, მისი სულის დაუვიწყარი მოძღვარი. შეიძლება ყოველს ადამიანს მართლაც უღვივოდეს გულში ეგ „ცეცხლი", მაგრამ ჩვენი მგოსანი იმ პიროვნებას ეთაყვანებოდა, რომელშიაც იგი გამოცხადებით ღვივოდა*).

როდესაც ვითვალისწინებთ დიმიტრი თავდადებულს, მღვდელს (გლახის ნაამბ.), ოთარაანთ ქვრივს და სხ. ვხედავთ, რომ ჩვენი მწერალი ძლიერ ადვილად და მოხერხებულად უთანხმებს ერთმანეთს პიროვნების და საზოგადოების ინტერესებს. ინდივიდის მოსაზრებით „კარგი" ის არის, რაც მას პირადად შეჰმატებს, მის პირად ინტერესებს ემსახურება, რაც მისთვის სასარგებლოა; საზოგადოებისათვის კი სასარგებლო ინდივიდუალობის მოქიშპეა. მართალია, პიროვნება რაღაც განყენებული არსი არ არის, იგი წარმოუდგენელია საზოგადოების გარეშე, იგი თვით საზოგადოებრივობის ნაყოფია და მას უსაზოგადოდ, მის გარეშე არსებობა არ შეუძლია, ვერ იცხოვრებს და ვერ განვითარდება. ამასთანავე თვალსაჩინოა, რომ ამ პიროვნებას მიჰყავს კაცობრიობა პროგრესის გზაზე; აქედან, პიროვნება ვერ შეეწირება საზოგადოებას, იმისი ინტერესები ვერ დაექვემდებარებიან საზოგადოებისას, რადგანაც პიროვნება და მისი სისრულეა „თვით მიზანი" და „საშუალება" იგი არ შეიძლება გახდეს.

რამდენადაც ჩვენი მგოსანი პატივსა სცემდა ძლიერს, თავისუფლების გრძნობით გამსჭვალულს პიროვნებას, იმდენად იგი ზიზღით შესცქეროდა იმას, ვინც უღირსად დაბლა დაუშვებდა ადამიანობის დროშას.

„მოყვარეს პირში უძრახე მტერს პირს უკანაო", რომ უთქვამს ხალხს, ილიას გულში ღრმად ჩაუმარხავს ეს და მოურიდებლად ხელოვნურად გვიხატავს ჩვენი ცხოვრების უკუღმართ მხარეებს. „ჩვენ პირთან, საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჭირზედ ვსწვრთ"-ო ამბობს იგი და გვიხატავს ისეთ ტიპს, რომელიც უსაქმურობით და სხვისი ჯაფით განებივრებული, იმდენად საზიზღარი გამხდარა, იმდენად დაუკარგავს ყოველივე ადამიანური ღირსება, რო... უნებურად წამოგცდებათ: „ნუ ... ესეც ადამიანია". „სადილს შემდ... ძილი, მერე ისევ გაღვიძება, მერ... ისევ ჩაი, მერე ვახშამი და ბოლო... ისევ ის სატრფიალო ძილი—და ა... ტკბილად და აუმღვრევლად მიდი... და ამ ორთა (ლუარსაბი და დარეჯ... ნი) უმანკო სულთა უბოროტო ცხო... რება ამ წუთისოფელში"-ო, ირონი... ულად ამბობს მწერალი და მერ... ზიზღით დასძენს: „შენ სცხოვრო... რომ სხვა სჭამო და არა იმისთვი... სჭამ და სვამ, რომ იცხოვრო, ე... ეცადო, ვითა მამა ზეცისა, იყო შე... სრული"-ო. მოჭარბებულს ქონს ... სრულს უსაქმურობას საბრალ... ლუარსაბისათვის აზროვნებაც ... დაუხშვია და იმასაც ვერ მიმხვდარ... ჭერზე მჯდარ ორმოც ბუზიდან რ... რამდენიმე გაფრინდეს, მეტი დარჩ... ბა თუ ნაკლები. ყოველივე სურვ... ლი, ყოველივე ნატვრა მისი მხ... ლოდ საქმლის გარშემო ტრიალე... და ყოველივე გარშემო არსებუ... მას იმდენად აინტერესებს, რამდენ... დაცემის სტომაქს აავსებს. ერთი ნატ... რა ღა შერჩენია ამ „ბედნიერ ცოლ... ქმარს" და ეგ ნატვრაა ვაჟიშვილ... „დარეჯან-ჯან, შენი სულისა, ერთ... ვაჟი მიშობე, ჩემი ძმის თვალებ... დასავსებადაო", ემუდარება ხან ... ხან ლუარსაბი კნეინას და ისიც აიმ... დებს: „ვშობავ, ვშობავ, შენმა მზ... მაო..." ეგ არის და ეგ... მაგრამ ... ინსტინქტი გამრავლებისა ხომ უ... რალო მღილსაც აქვს! მათი საოჯ... ხო სიბრძნე ამ საყურადღებო დია... ლოგშია გამოთქმული:

— სად იყავ, შენი ჭირიმე,—ჰკ... თხე მერე კნეინასა, რომ ეგრე და... ღალე?

— როგორ თუ სადა, შენი ჭირიმ... ოჯახობაა, სახლია, კარია, თვალ... ყურის ჭერა უნდა, შენ გენაცვალო... ჩემი თავი, მიუგო კნეინამ.

— ეგრე, ჩემო დარეჯან, ეგრე, მ... თაყვანე! დედაკაცობაც ეგ არის დ...

— მაშ?... ესე უნდა თვალ-გა...

*) იხ. „სახ. გაზ." № 947.

*) Утопія ст. 80.

*) განგებ ვხმარობთ ნ. ნიკოლაძის ტერმინს, რადგანაც „მომაკვდავი" არ მიგვაჩნია ცნების გამომხატველ ტერმინად.

**) Теорія Дарвина и общественная наука.

*** Что такое прогрессъ.

*) აქ გვაგონდება ნიცშეს სიტყვები დოსტოევსკის შესახებ: „ამ ღრმად მოაზროვნე ადამიანმა, რომელიც .. დიდი ხანი ცხოვრობდა კატორღელთა შორის, რაღაც მოულოდნელი იგრძნო იმათადმი, ამ განკიცხულთადმი, რომელთაც საზოგადოებაში დაბრუნება არ შეეძლოთ; მან იგრძნო, რომ ისინი უმტკიცეს, უუმჯობესეს და უძვირფასეს ხისგან იყვნენ გამოთლილნი მთელს რუსეთში"-ო (იხ. помраченіе кумировъ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიერ ცუდი სცოდნია. მიწების სივიწროვეა, მაგრამ მოსავალი კი კარგი სცოდნია. **იტი.**

## მცირე შენიშვნა

როგორც, ალბად, მკითხველს მოეხსენება, ოქსფორდში დაარსდა ამ რამდენიმე წლის წინად ქართული წიგნთსაცავი განსვენებულ მისს მ. ს. ვორდროპის სახელზე. წიგნთსაცავში ბლომად მოიპოვება ქართული წიგნები, ძველიცა და ახალიცა, მაგრამ ფრიად სასურველია იგი ივსებოდეს ახალის გამოცემებითა. ამიტომაც სასურველია **გამომცემლებმა და ავტორებმა** თვითონვე მიაწოდონ თავიანთი ახალნი გამოცემანი, გაზეთები, ჟურნალები და წიგნები, ხსენებულ წიგნთსაცავს. ეს არის აგრეთვე სურვილი და თხოვნა თვით წიგნთსაცავის დამაარსებელთა. გამოცემათა გასაგზავნი მისამართი:

Mr. J. O. Wardrop (For the Oxford Library) Home Farm House Chipstead nr. Sevenoaks. Англія.

მ. წერეთელი.

## პასუხად გაზეთ „ზაკავკაზიეს“ თანამშრომლად ნამყოფს შიო დავითაშვილს.

მოწყალეო ხელმწიფევ, შიო ედიშერის ძევ! სიამოვნებით ვთანხმდები საამხანაგო სამართალს, მაგრამ ამასთან ერთად საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ თქვენი ღია წერილი შეიცავს სინამდვილის დამახინჯების მთელს რიგს და ცილისწამებასაც კი.

თქვენ მიერ წამოყენებულ ბრალდების პირველ მუხლის შესახებ დასაბუთებულ განმარტებას საამხანაგო სასამართლოში წარმოვადგენ.

მეორე მუხლის შესახებ თქვენვე შეგეკითხებით: იცით თუ არა, რომ ინიციატივმა მე არ მეკუთვნის, რომ თქვენ კატეგორიულად წახველით თითონვე, ხოლო მე კი ინციდენტის გასაქარწყლებლად ყოველივე ღონისძიება მივიღე?

რაც შეეხება მესამე მუხლს—თითქოს კოლეგიაში მე უთანხმოება შემეტანოს, უნდა აღვნიშნო, რომ კოლეგიამ თითონვე შესჭამა თავისი თავი, და მე კი ღრმა მწუხარებით მხოლოდ თვალს ვადევნებდი მის გახრწნას.

ჩემის მხრით მოსამართლედ ყოფნას დასთანხმდნენ ჟურნალ „კავკაზსკოე ხოზიაისტვოს“ მდივანი ვლადიმერ ვალენტინის ძე ლუპოვი და გაზეთ „კავკაზის“ თანამშრომელი პეტრე პავლეს ძე ბულგაკოვი, რომელნიც მე მოვიწვიე, როგორც სრულიად ნეიტრალური პირნი.

გაზ. „ზაკავკაზიეს“ რედაქტორი **ივ. რადიკე.**

P. S. ვთხოვ „სახალხო გაზეთისა“ „ზაკავკაზსკაია რეჩის“ რედაქციებს, რომელთაც ბ-ნ დავითაშვილის წერილი დაბეჭდეს ეს ჩემი პასუხიც გადაბეჭდონ. **რ.**

## მოწერილი ამბები

**კახეთი.** თელავის ამ ჟამად მოუსვენარ, ნამდვილ ქალაქურ ცხოვრების გაცვლა კახეთის ქვემო მხრის სოფლებზე ჩემდა სამწუხაროდ მოკლე ხნით მომიხდა არც რაიმე საგანგებო მიზანი მქონდა, მინდოდა ცოტა ხანს მაინც დავახლოვებოდი სოფელს და იმ მიწის მშრომელ შვილთ, რომლებსაც ქალაქის მცხოვრებთ მხოლოდ სცენაზე უხატავენ და რასაც იოტის ოდენა მსგავსება არა აქვს.

მალე მგზავრები ვიშოვე, ქვემო მხრის სოფლელნი ზემო-კახეთში სამკალად წასულნი შინ ბრუნდებოდნენ. გავყევით ხელის-გულივით გაშლილ ვაკე გზას. „ეს შარა გზა ჩვენი ხელით არის გაკეთებული, სოფლის გზებისთვის კი ვერ ვიცლით; მაგრამ აქ დიდი ხალხი დაბრძანდება—მებაასებოდნენ მგზავრები—სოფლის გზებს კი მარტო ჩვენ და ჩვენი საქონელი ვხმარობთ და აკი ამისთვის ხან ურემი გადაგვიბრუნდ-გაგვიტყდება, ხან კამეჩები დაგვივარდება“...

მართლაც, ამ თელავ-სიღნაღის შარა გზას გაკეთება-შესწორება სოფლელთ აქეთ დაკისრებული და მძიმე ხარკადაც ადევთ კისერზე. ეს გზა რომ საერობო ხარჯით ინახებოდეს, დიდი შეღავათი იქნებოდა ჩვენი გლეხ-კაცისათვის.

ამ შარა გზის გაყოლება სასიამოვნო სანახაობას წარმოადგენს; სოფლელნი გადმოსახლებულან და კალოებს აწყობენ. უმრავლესობას მკა გაუთავებია. ეშურებიან ფრთა-მოკეცულების დადგმას, რომ ავდარში წვიმამ პირნახული არ გააფუჭოს. ზოგს, ვისაც სარჩო დაჰკლებია, კალო ადრიანად შეუბამს.

გლეხკაცი მთელი ოჯახობით და აკვნიან-ძაღლიანად კალოზე დაბინავებულა წლის სარჩოს დასამზადებლად. ამ დროს პატარა ბალღიც კი არა სცდება, ზოგი (მკაში) თავ-თავს ჰკრეფს, ზოგი კალოზე ეხმარება, მუშაობს თვითონ, მუშაობს მისი ცოლ-შვილი სქესის განურჩევლად და რაც უნდა კარგი მოსავალი მოუვიდეს, მაინც წლის სარჩო ვერ შეაქვს ოჯახში. სხვას კი რომ ვკითხოთ, ქართველი გლეხისთანა ზარმაცი და ბედოვლათი არავინ მოიპოვება...

წელს თითქმის ყველგან ძლიერ კარგი მოსავალია, მაგრამ ისე გაუფუქსავატდება ეს მოსავალი ათასნაირად გაჭირვებულ-შეწუხებულ მხვნელ-მთესველს, რომ ეხლა ორ მანეთად გაჰყიდის კოდ პურს და გაზაფხულზე-კი თვით 4—5 მანეთად მოუხდება ყიდვა და დავალიანება...

პურის სიუხვეს ჰღალატობს სიმინდის მოსავალი, თუ არ გაავდარდა მცირე იქნება და ეს-კი დიდ ზედგავლენას იქონიებს...

მიუხედავად სიცხე-გვალვისა გრილი ნიავი ამსუბუქებდა შეხუთულ ჰაერს, რისთვისაც მგზავრები მადლით ვიხსენიებდით გომბორის მთას, რომლის მიდამოებში მრავლად გადმოჩუხჩუხებს ცივი და სალი წყაროები და სოფლად-კი მყრალი რუს წყალის სმა უხდებათ, რის გამოც; ზაფხულობით ჩნდება სხვა და სხვა სატკივარი, უფრო ციებ-ცხელება და მუცელა და დღეს უმოკლებს კახეთის მცხოვრებთ, ბავშვებს ხომ ხშირად მუსრს ავლებს ხოლმე. წყალი მილებით არც ერთ სოფელში არ არის გამოყვანილი, რის გამო დიდ შეწუხებას განიცდის ხალხის გარდა საქონელიც, რომელიც ალაზანზე 8—10 ვერ. მანძილზე მიჰყავთ წყლის დასალევად.

წყლების სიახლოვე და სიმრავლე ძრიელ აადვილებს მის გამოყვანას და არც დიდი თანხა დასჭირდება, მაგრამ ჩვენ სოფლებში მოთავეობა და საქმის გამძღოლნი არსადა სჩანან...

აქვე არ შემიძლიან არ აღვნიშნო ერთი სასიამოვნო ამბავი: სწორედ ჩვენ გავლისას ე. ი. 14 ივლისს ს. ურიათუბანში განაჩენი შეადგინეს წყალ-სადენის გაკეთების შესახებ, ხოლო შაშიანში ამავე დღეს სოფლის ამორჩეული პირნი ხელოსნებს 440 მან. გაურიგდნენ სკოლის გაფართოებას და ერთი ოთახის მომატებას.

საერთოდ მიღებულია, რომ სამოსწავლო მთავრობა ამისთანა შემთხვევებში ყოველთვის ეხმარება მესამედი ფულის გაღებით; შაშიანის სკოლას-კი, მიუხედავად მისი გამგის მღ. თ. ასათიანის თხოვნისა და თელავში საეპ. სამ. საბჭოს თელავის განყოფილებაში სიარულისა, არაფერი მიუციათ.

საჭიროა საეპ. სამ. საბჭოს თელავის განყოფილებამ მეტი ყურადღება მიაქციოს სკოლის შენობებს; შაშიანის გარდა, კალაურის სკოლაც არაფერს არა ჰგავს, ხოლო ამ სკოლების მეთვალყურემ მამა ინაშვილმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს სკოლის მოწყობილებებსაც, თორემ თვით ამ სკოლაში ისეთი უწინდელი და ოღრო-ჩოღრო პარტებია, რომ იმაზე მეცადინეობა ყოვლად შეუძლებელია.

**დავიწყებული.**

## თხოვნა ქართველ-მაჰმადიანი მოლისა

ეს არის ეხლა მივიღე წერილი ერთი ქართველი-მაჰმადიანი მოლისა, რომელიც თავის წერილში დიდს მადლობას და თან თხოვნას მიგზავნის ქართული წიგნების მიწოდებისთვის.

ეს მოლა მწერს: ჩემს გარშემო სოფლებში ქართული წერა-კითხვის მცოდნე ბლომად მოიძებნება, რომელთა თხოვნას ჩემდამი სამზღვარი არა აქვსო.

იხვეწება: მოგვაწოდეთ ქართული წიგნები, ქართული ჟურნალ-გაზეთები და ყველა ეს ჩემს კისერზე იყვესო, რადგანაც, როცა მე თქვენისთანა ხალხისაგან ზურგი გამაგრებული მექნება, დარწმუნებული ვიქნები თქვენგან ხელის შეწყობისა, მაშინ მე აქ ცოქმედება თამამად შემეძლება; ხალხიც, დარწმუნებული იმ მხრივ, რომ ჩვენ მათ არ ვივიწყებთ, გვსურს მათი სურვილის განხორციელება: ესე იგი, ქართული წიგნების მიწოდებით ხელისშეწყობა, ერთის მხრივ ჩვენდამი ნდობა გაიღვიძებს, მეორე მხრივ კი სიყვარული ქართული წიგნებისა გაღვივდებაო. და ეს ხომ გადაბმა იქნება იმ ძაფისა, რომელიც ულმობელმა ისტორიამ ესე გულგრილად გასწყვიტაო. კიდევ ბევრს რასმე მწერს ეს მოლა; დიდ სიხარულს აცხადებს იმის გამო, რომ ჩვენ გვსურს მათი მიზნის განსახორციელებლად ხელისშეწყობა.

როგორც ეს მოლა იტყობინება, იმის მხრის ქართველ მაჰმადიანებში ქართული წიგნების სიყვარული დიდი ყოფილა, მაგრამ, სამწუხაროდ, მიმწოდებელი არავინ ჰყოლიათ.

მწერს აგრეთვე: როგორც ვიცი და გავიგე, თქვენ ქართული წიგნების მიმყოლი ყოფილხართ და ეგების ჩვენც რამე მოგვაწოდოთო. ამ დღეებში მე იქ ვაპირებ გამგზავრებას, მსურს ქართული წიგნების წაღება, და იმედია, ქართული საზოგადოება ხელს შემიწყობს ქართული წიგნების უფასოდ დათმობით, რომ იმ კუთხის ქართველი მაჰმადიანები თვითონ ვნახო, თითონ დავიარო ამ მოლის შემწეობით ის კუთხე და გავიგო, თუ რამდენად წყურვილი აქვთ ქართული წიგნებისა.

ნუ დაივიწყებს ქართველი საზოგადოება, რომ წერილს იწერება მაჰმადიანი ქართველი მოლა, რომელიც არამც თუ ხელს უშლის ყველასფერს ქართულს, როგორც ამას სხვა ფანატიკოსი მოლები სჩადიან, არამედ თვითონ ტრიალებს ჯარასავით, რათა გააგებინოს თავის მეზობლებს, რომ ისინიც ისეთივე ქართველები არიან, როგორიც ჩვენ; რომ ეროვნული თვითცნობიერობის მხრივ სარწმუნოება არასფერს შუაშია.

იმედია ქართველი საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს პატივცემული მოლის თხოვნას და მეც საშუალებას მომცემს ქართული წიგნების უფასოდ დათმობით იქით გავემგზავრო.

**იასონ კერესე—იძე.**

## რუსეთი

**წერილი ნ. ა. შახოვისა თავ. მეშჩერსკის მიმართ.**

„გრაჟდანინ“-ის ერთ-ერთ ნომერში თავ. მეშჩერსკიმ წინადადება მისცა პოლიციის დეპარტამენტს, ყურადღება მიაქციოს ცნობილ ქველმოქმედისა და მეცენატის ნ. ა. შახოვის მოღვაწეობას. ამ წერილის გამო ნ. ა. შახოვს უპასუხნია მეშჩერსკისათვის: „თქვენმა წერილმა შემაწუხა—სწერს ნ. ა. შახოვი.—მე არ მინდა თავი ვიმართლო, მაგრამ ცნობისათვის, რათა თქვენ მართლმსაჯული იქნეთ, გატყობინებთ ჩემგან შენაწირთა სიას: 1) კუს სიმსივნის სარჩენ მოროზოვის საავადმყოფოს, კუსაგან გარდაცვალებულის ჩემი ცოლის სახელობისათვის,100,000 მან., 2) მოსკოვის მორგისათვის ქალაქმა მიხცა 40,000 მ., მე—60,000 მან. 3) პლიუშჩირში საერთო საცხოვრებელისათვის 26,000 მან. 4) საერთო საცხოვრებელის შესაღებავად 10,000 მან. 5) თვალის სნეულებათა საავადმყოფოს 7,000 მან., 6) საანატომო თეატრს 10,000 მან., 7) რუმიანცევის მუზეუმს 50,000 მან. (ეს ფული უკანვე წამოვიღე, რადგანაც მოხელენი 3 წელიწადი ჰფიქრობდნენ, რა ექნათ ამ ფულისათვის). 8) სასადილოთა მოსაწყობად, კურსებისათვის მუზეუმის საყიდლად, საბიბლიოთეკო კურსებს, ბუნების-მოყვარეთა საზოგადოებას და წვრილმანი 30,000 მ. სტიპენდიებისათვის —100,000 მან.—150,000 მან. სულ 400,000 მან. — 450,000 მან. ეს რიცხვი ყველაფერს გეუბნებათ: მათ სიმართლეში ეჭვის შეტანა არ შეგიძლიანთ. გარწმუნებთ, თავადო, რომ მე თითონ მომხრე ვარ იმ წესების, რომელიც ჩვენ, ილოვაისკის ისტორიით, სამწუხაროდ, ვარიაგების დროიდან არ გვაქვს. რაც შეეხება რუსის ბიუროკრატიას, მძულს იგი, შესაძლოა უფრო მეტადაც, ვიდრე თქვენ, თქვენო ბრწყინვალებავ“.

**ლენის ოქროს მრეწველთა ოინები.**

ზამთარში ლენის ოქროს მრეწველთ დაუქირავებიათ რუსეთში რამდენიმე ასი კაცი ლენაზე წასაყვანად. წაყვანამდე ყველანი ექიმისათვის შეემოწმებინებიათ, რათა მხოლოდ ჯანსაღი ხალხი წაეყვანათ. როდესაც ლენს მივიდნენ დაქირავებულები, კიდევ გასინჯეს სამრეწველოს ექიმებმა და ბევრი უვარგისად სცნეს. საქმე თურმე ის იყო, რომ დაქირავებულთა მიყვანის დროს ლენაზე აღმოჩნდა ბევრი უმუშავერი, რომელიც უფრო იაფად იმუშავებდა და მრეწველებმა ამიტომაც დაიხვიეს ხელზე დაქირავებულების ჯანსაღობა. დაწუნებულთ ირკუტსკის სასამართლოში უჩივლიათ და სასამართლოშივე ჯანი შეუმოწმობინებიათ ექიმებს; გარდა ორისა ყველა ჯანსაღი გამოდგარა.

## სხვა და სხვა ამბავი

**„საუცხოვო მიზეზი“**

სინოდმა პირველ სათათბიროს თავმჯდომარის განსვენებულ ს. მურომცევის საფლავზე ძეგლის აგების ნება არ მისცა, რადგანაც ძეგლზე გამოქანდაკებული იყო თვით განსვენებულის ზედა ტანი. სინოდის განმარტებით კი: „კერძო პირთა გამოსახულება კერპებს აგონებს ადამიანს, რასაც მართლმადიდებელ სასაფლაოზე ადგილი არ უნდა ჰქონდეს“.

„მოლავ, თოკი მათხოვე“!-ო „არ შემიძლიან, ზედ ფეტვს ვაშრობო“! სწორედ ამაზეა ნათქვამი.

**გუბერნატორი რეკლამისტის როლში.**

იალტის გუბერნატორს ღენერალ დუმბაძეს მუდამ აქვს საქმე. აქამდე იგი ებრაელების და უცხო ტომის ხალხის იალტიდან განდევნას ანდომებდა დროს; ეხლა კი ეს საქმე გათავდა და იგი შეუდგა რეკლამების გავრცელებას. უკანასკნელ ბრძანებაში 8 ივლისის თარიღით იგი აცხადებს საყოველთაო საყურადღებოდ, რომ ქ-ხ დოლნიკის პანსიონი დავათავა-

ცილებული დასტრიალებდე მოსამსახურეებსა, თორემ ჭამის მეტს არას გააკეთებს.

— მაშ, მაშ!

— ბევრმა არ იცის როგორ მოუაროს.

— მაშ, არ იცის, თორემ რომ იცოდეს კარგია, მაშ!

— ხან და ხან ტყუილ-უბრალოთაც უნდა დატუქსო, რომ გამოლანძღო კიდეც, ცუდი არ იქნება. აი მე გავლანძღამ კიდეც, გაუჯავრდები, დავტუქსავ, დავწყევლი, სულ რისთვის? იმისთვის რომ შიში და კრძალვა ჰქონდეს, თორემ შენი მტერი.

— ოღონდაც შენი მტერი, ოღონდაც!

— ეს გლეხები არიან: გაქირ ვირსავით თუ ერთხელ შედგა, მერე თუნდა შვიდი სახრით მისდგე, ფეხს ვერ გადაადგმევინებ, თუ ადრევე დატუქსული არა გყავს...

— ოღონდაც, დატუქსული უნდა გყავდეს... ოღონდაც გაქირ ვირსავით შესდგება...“

აი მთელი ფილოსოფია ცხოვრებისა და ამ ცხოვრებისაგან დამახინჯებული ადამიანიც, რომელიც გაბმულ ლაპარაკსაც ვერ ახერხებს და ნაწყვეტად ისვრის: „მაშ, მაშ ოღონდაც“-ო. ამნაირად მწერალი მხატრულ ტიპების მაგალითებით გვიმტკიცებს, რომ ბატონ-ყმური განწყობილება თანასწორად გამათახსირებელია, როგორც ბატონისა, აგრეთვე ყმისა. ის უზრუნველობა, რომელსაც ყმის მოიმედე ბატონი ეძლევა, აზანტებს მას და ცხოვრების შეცვლისათანავე იღუპება. ბატონი ეჩვევა პიროვნების აბუჩად აგდებას, იგი ბოლოს თავის ღირსებასაც ვერ აფასებს და იმიტომაც მიდის იმ პირუტყვულ მდგომარეობამდე, როდესაც მართლაც იმიტომ ცოცხლობენ, რომ სჭამონ; თავის ცხოვრებით კმაყოფილება უსპობს მას ყოველს ინტერესს, გარდა თავის ცხოველურ არსებობისათვის ზრუნვისა, იგი თავის ცხვირს იქით ვერაფერს ჰხედავს, ამიტომაც მუდამ პირველ ყოფილ აზროვნებაზე რჩებოდა და ყოველგვარ ცრუ-მორწმუნოების მსხვერპლი ხდება. ეგ გადუვალი კანონია ყველა იმისთვის, ვინც ზემო დახასიათებულ ცხოვრებაში აღზრდილა *).

იმის შემდეგ, რაც ილიამ თავისი მიუწყო ბატონ-ყმობას, დაჰგმო იგი, შეუბრალებლად თავის უსამართლობაზე დააკვლევინა იგი ზაქროს და კაკოს, და კაკოს პირით აღტაცებით თანაგრძნობა გამოუცხადა; მას შემდეგ, რაც უკანასკნელი მისი უმზგავსო წარმომადგენელი ლუარსაბი და დარეჯანი ჩუმად, თავის-თავად, საფლავის კარამდი მიიყვანა და ზიზღით ზურგი შეაქცია იმათ საფლავს, სადაც კიდევ შენდობის თხოვნა სწერია; მას შემდეგ, რაც თავისი გაბრო, ეს ყოყმანა და ლმობიერი მოწინააღმდეგე მონობისა, თავის უადგილო გულკეთილობას და ბატონის პატიოსნებაში გულუბრყვილო რწმენას შესწირა, ჩვენმა მწერალმა კიდევ გადადგა ერთი ნაბიჯი. ეს ნაბიჯი ისეთი დევ-გმირული გამოდგა, რომ ჩვენს საზოგადოებას, ოცდა-ათ წელზე მეტია, იგი ჯერ კიდევ ვერ გაუვლია. ჯერ კიდევ ბევრი „კეთილშობილი“ მოიძებნება ისეთი, რომელიც თავგანწირულად იცავს თავისს ოჯახს „მდაბიოს“ სიყვარულისაგან, ერიდება სისხლის შერევას და მტკიცედ იცავს „კეთილშობილის სისხლის სიწმინდეს“. ილიამ ჩამომავლობის ამ ერთ სიმაგრეზედაც მიიტანა იერიში და გაბედა გლეხის შვილის, გიორგის გულსაწვავ სიყვარულის შესახებ ელაპარაკნა. რამდენი დაკვირვება და უმცდარი ნიჭი იყო საჭირო, რომ მწერალს აქ არ გადაეკარბებინა, არ ასცილებოდა ზომიერებას და არ ეღალატნა სინამდვილისათვის. გიორგიც ზაქროსა, კაკოსა და გაბროს წრიდანაა, მაგრამ ამას ახლობელ მიზნად სულ სხვა აქვს დასახული, ვიდრე იმათ. იყო დრო, როდესაც ხალხის შვილი იძულებული იყო შებრძოლებოდა იმ უკუღმართობას, რომელიც არსებობდა ორ წოდების შორის, ბატონსა და ყმის შორის, და თითოეული გამარჯვება ასეთ გმირს სიცოცხლედ უჯდებოდა. გიორგის დროს კი ყმა ბატონთან იურიდიულად ზოგიერთ უფლებაში გასწორებული იყო, მაგრამ უთვალავი ჩვეულება და ძველი ადათები ჯერ კიდევ ამაგრებდნენ მათ შორის აშართულ კედელს. გიორგი თავისუფლების ეპოქაში იზრდებოდა, მისი ბუნებაც უფრო ლაღი იყო. იგი იმდენად გათავისუფლდა მონურ გრძნობისაგან, იმდენად დასძლია მონური ფსიხიკა, რომ შესაძლებელი გახდა მის გულში სიყვარულს ეფეთქა და ისიც არ სცდიდა იგი იქ ჩაეკლა. გიორგი ებრძვის ყოველგვარ უსამართლობას, ყველგან, სადაც უნდა შეეყაროს მას; მაში საზოგადოებრივი ინსტინქტი ძლიერ განვითარებულია. გიორგი არ გაურბის შრომას, პირიქით, იგი მას წმინდა მოვალეობად მიაჩნია და მოწიწებით ეპყრობა. „ის ცხონებული (გიორგის მამა) ისე შეეჭიდებოდა საქმეს, თითქოს დროებასა და ლხინშიაო. ეს კი იმასავით გულმოდგინეა, დაუზარებელი, მაგრამ ძნელად თუ საიდმე წარბს გაიხრის და საქმეს შესცინებს,—სულ პირ-დაღრეჯილია და წარბ-შეკრული-“ო, ამბობს გიორგის დედა. აქ, ჩემი აზრით, ფსიხოლოგიური ანაქრონიზმია, თუ შეიძლება ასე ითქვას: გიორგის მამა, უნდა ვიგულისხმოთ, იმ დროს სცხოვრობდა, როდესაც მთელი შრომა გლეხისა ბატონს ეკუთნოდა და შრომა მისთვის ლხინი სრულიადაც არ უნდა ყოფილიყო. მეორე მხრით კი, თავისუფალი გლეხი, გიორგი პირგამეხებული უყურებს თავის სასარგებლო შრომას, გიორგის ახლა ნაკლები საფუძველი ჰქონდა პირგამეხებული შეჰყროდა შრომას და არა მამისებურ ნდომითა და სიამითა. ეს ახირებული ფსიხოლოგიური განცდა ერთობ გამოურკვეველი დარჩა ჩვენს მწერალს. ეს დადვრემილება გიორგის პირქუშ ბუნებიდან უმეშვეოდ გამომდინარეობდა, თუ თვით მწერლის მოსაზრება იყო ასეთი? პირველიცა და მეორეც, ყოველ შემთხვევაში, დაუსაბუთებელი დარჩა.

ჩვენი მწერლის სიმპატია გიორგის ეკუთვნის, იგი სიამოვნებით შესცქერის ამ მთლიანსა და სალ პიროვნებას და სწამს, რომ ამ წოდებაში მოიპოვება მთელი ერის განმაახლებელი ძალა. „მისი ნამუსი ჭკუით კი არ არის ახილებული, გულით გამოკვებილია, მარტო გულითო“, ამბობს გიორგის შესახებ არჩილი. მას გლეხის ბუნება ჯერ კიდევ გაურყვნელად და მტკიცედ მიაჩნია; იგი იმდენად მაღლა აყენებს გლეხს, რომ „დეე გვასწავლოს და გვწურთნოსო“, ამბობს იგი. აქ ჩვენ ვხედავთ იმ ტენდენციას, რომელიც რუსეთის მე-60 წლების ცხოვრებას ასე ძლიერად დაეტყო; ინტელიგენტი, რომელიც ცდილობს ცოდვები მოინანიოს, თავისი ძალის და მნიშვნელობის შემცირებით, გლეხის სიკეთესაც აზვიადებს. ეს ქართველი ინტელიგენტი „ნაროდნიკების“ იდეალიზმით გატაცებული დ. ჰონქაძის „კნიაზ-ლიბერალის“ და ლ. არდაზიანის „ალექსანდრე რაინდაძის“ შთამომავლობაა, მაგრამ მიუხედავად ილიას ნიჭისა, ეგ ტიპიც ძლიერ მკრთალია და, მაშინდელ ინტელიგენტის ძლიერ ცოტა მგზავსება აქვს. მართლაც, თუ მაშინდელ პაწაწა ჯგუფიდან უმრავლესობას ავიღებთ და არა შესაძლებელ გამონაკლისს, ჩვენ ვერ მიმხვდარვართ ილიამ ეს არჩილი ვისგან გადმოხატა, და თუ ერთი-ორი მისი ნაცნობი ინტელიგენტი იყო ასეთი, ეგ რა ტიპიური მოვლენაა?! ჩვენ ვიცნობდით და ვიცნობთ ისეთ ინტელიგენტთ, როგორიც მაგალითად თითონ ჩვენი მწერლები და ჩვენი პირველი ჟურნალების პუბლიცისტები არან, რომელთაც „არჩილი“ არც ენერგიითა ჰგავს და არც მოღვაწეობით. ერთა-ერთი სიმპატიური თვისება არჩილისა ეგ, გლეხის სიყვარულია, მაგრამ, ეგეც უსუსური და უნაყოფო. არჩილი ამბობს: „მე გლეხკაცს გუშინდელ ბალღსავით კი არ შევხარი,—ანგელოზია მეთქი,— მე ვსინჯავ, მე ვარკვევ და როგორც ჰქვა-დამჯდარი მლოციარე დავსტირი ჩემს დაკარგულს ნახევარსა. ის ჩემგან მოკვეთილი ნახევარია, მე მისგან... ისინი მენანებიან, მებრალებიან, მე კი ჩემი თავი მძაგს და მეზიზღება... ჩვენ რაცა ვართ გაკეთებულნი ვართ, ისინი შექმნილნი“-ო. მართალია, უფრო შენახულია და გაურყვნელი, უფრო კეთილი გლეხის ბუნება, მაგრამ ინტელიგენციამ მაინც რა უნდა **ისწავლოს**?! მარტო ეს თვისებები ვერ წაგვიყვანს წინ, როგორც მარტო ცოდნაც,—მხოლოდ მათი შეთანხმებით უმჯობესდება მდგომარეობა. ხალხის მტკიცე ხასიათი და მაზე აღმოცენებული სალი ცოდნა მოიტანს კეთილს ნაყოფს; როგორც ინტელიგენცია განცალკევებული, ხალხის ცხოვრებას მოწყვეტილი, აგრეთვე ხალხიც ძლიერ ინტელიგენციას მოკლებული ვერ იხეირებს. ზემოდ ჩვენ გავეცანით არდაზიანისა და ჰონქაძის მიერ დახასიათებულ ინტელიგენტებს. ამათზე ადრეც, ნ. ბარათაშვილის წერილიდან გავეცანით მის შეხედულებას წოდებათა ურთიერთობაზე: „углубись в себя, тогда,—увѣрившись, что громъ славы и звук оружія не имѣет уже для твоего слуха магическаго значенія,—оставь службу, займись имѣніем. И эта другая слава—сдѣлает счастливыми твоих крестьян, оставленных до сих пор без господина—попечителя“. (წერილი ზაქარია ორბელიანს). „კნიაზ—ლიბერალი“, „რაინდაძე“, ეს „господин—попечител“, არჩილი, გ. წერეთლის კიკოლიკი, ყველა ესენი ერთი ბანაკის ხალხია, მხოლოდ ინდივიდუალური სხვადასხვაობით. ეს სოფლად, ხალხში გასვლა, გლეხის სიყვარული, თავისი მნიშვნელობის შემცირება და სხ. და სხ. დამახასიათებელი თვისებებია ახალგაზდა ინტელიგენციისა თითქმის ყოველგან. „ცოდვის მომნანიებელი აზნაური“ (кающійся дворянинъ) ხომ ერთობ ცნობილი და მნიშვნელოვანი ცნებაა რუსეთის ინტელიგენციის ისტორიაში. ჩვენი ინტელიგენცია, როგორც ყოველგან, მხოლოდ თავად-აზნაურობიდან (წარჩინებულ წოდებიდან) გამოვიდა. თავად-აზნაურობის ერთმა მცირე ნაწილმა გამონახა ახალი გზა თავის ენერგიისათვის და სამხედრო ბანაკიდან იგი ინტელიგენციის ბანაკში შევიდა. რადგანაც თავად-აზნაურობა ცხადად განცალკევებული იყო „დაბალი წოდებისაგან“, იქიდან გამოსული ინტელიგენტებიც ძლიერ შორს იდგნენ ხალხზე და აი ეგ სიშორე, ეგ გაუგებრობა ჰქონდა ილიას სახეში, როდესაც რაღაც „ჩატეხილ ხიდზე“ და „მოკვეთილ სახეკაზე“ ლაპარაკობდა. მართლაც, ვისა და ვის შუა არსებობს უფსკრული და ვინა და ვინ უნდა შეართოს ამ ახლად გადებულმა ხიდმა? ნუ თუ თავად-აზნაურობისა და გლეხობის შორის?! წარჩინებული წოდება, როგორც ასეთი, უკვე აღარ არსებობდა, უკან ყოფილისაკენ დაბრუნება აღარ შეიძლებოდა, მომავალი ხომ თანდათან უფრო გაანადგურებდა მას და არა ხიდს გადებდა, და, მაშასადამე, რომელ ხიდისას ლაპარაკობს ილია? უფსკრული ქართველი ინტელიგენციის პირველ ნაბიჯიდანვე გაჩნდა ხალხსა და მის შორის, როგორც უცხო ნიადაგზე აღზრდილსა, სამშობლო ქვეყნის ცხოვრებისათვის ნაკლებად მომზადებულსა (და სწორედ ამას ებრძოდა პირველი ჯგუფი ჩვენი ინტელიგენციისა) და აი ილიაც საჭიროდ სცნობს ამ უფსკრულის ამოვსებას, იგი საჭიროდ სცნობს „ჩატეხილი ხიდის“ გამთელებას, ერთი მეორისაგან განცალკევებულ „ნახევრების“ შეერთებას, ერთ ეროვნულ მთელის შექმნას. **ს. დადიანი.**

(შემდეგი იქნება)

*) ბ. ფ. მახარაძე ამბობს ილიას მხოლოდ **ზოგიერთთა** უდიერობა არ მოსწონდა, თორემ იგი საერთოდ ბატონ-ყმობაზე არ არის ნათქვამიო (იხ. „დან. ჭონქაძე და მისი დრო“,... ღმერთო ჩემო! ღმერთსაც ნუ ექნა მთელი ქართველობა ლუარსაბისებური გამხდარიყო! ეგ რომ ეგრე ყოფილიყო, თვით ილია ხომ ილია არ იქნებოდა!

ლიერე, და ძლიერ მომეწონა სისუფთავითა და წესრიგით, რომელიც იქ იყო; ამიტომ ქ-ნ დოლნიკს მადლობას ვუცხადებ და ვუსურვებ მუდამ ასეთი მადლობა დაემსახურებინოს თავის მდგმურებისაგანაო.

იალტელი კორესპონდენტი დასძენს: რამდენიმე დღის წინედ კი ამავე პანსიონში 11 ბავშვი გახდა ავად ყელ ჭირვებითა და ეს ქ-ნმა დოლნიკმა დამალა, სანამ გამოძიებამ არ დაამტკიცაო.

**რუსეთის „განათლებული" მოხელეები.**

30 ივნისს პიატიგორსკში ფ. როდიჩევმა წაიკითხა ლექცია ა. გერცენის შესახებ. ხოლო ლექციის გამმართველმა ნებართვა პიატიგორსკის პოლიცმეისტერისაგან მხოლოდ 9 ივლისს მიიღო. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ თურმე პოლიციელები ეძებდნენ თვით ა. გერცენს; რასაკვირველია გერცენის ბინა ვერ აღმოაჩინეს; იმ ქაღალდზე კი, რომელიც ლექციის მომწყობს ჩააბარეს შემდეგი სწერია:

— „ცნობა: ა. ი. გერცენი ესსენტუკის სტანციაში ვერ აღმოვაჩინეთ და მისი პასპორტი პოლიციაში არ არის წარდგენილი. პოლიციელი პროკოფიევი".

**მიტროპოლიტი გრაფი ა. შეპტიცკი.**

ლვოვისა და მთელი გალიციის რუსთა მიტროპოლიტის კათედრა უკავია მიტროპოლიტს გრაფს ანდრია შეპტიცკის, რომელიც ითვლება გალიციისა და ამერიკის ბერძენ-კათოლიკეთა ანუ უნიატების თავად. შეპტიცკებს წინადაც ეჭირათ მიტროპოლიტის კათედრა, მაგრამ, როგორც უკრაინის სხვა წარჩინებულებამა, შეპტიცკებმაც უარჰყვეს თავისი ერი, აღმოსავლეთის საეკლესიო წესი და მხარი დაუჭირეს გაბატონებულ აზრს, რომ უნია-ხიდია პოლონელთა და უკრაინელთა შორის, რომელმაც უკრაინელებს ლათინიზმი უნდა მოახვიოს თავსა და ამით ხელი შეუწყოს უკრაინელის პოლონელ „ხალოპად" გადაქცევას. მიტროპოლიტი ანდრია შეპტიცკი სულ სხვა აზრისაა. სამშობლოსათვის სამსახურის გასაწევად, იურიდიულისა და ფილოლოგიური მეცნიერების დოქტორმა ანდრია შეპტიცკიმ მშობლების წინააღმდეგ, გასცვალა ბრწყინვალე სამხედრო ტანთსაცმელი ბერის უბრალო ანაფორაზე. მას სწადია გასწმინდოს აღმოსავლეთის ეკლესია ლათინების ზეგავლენისაგან და სჯერა რომ უნია შესძლებს შეაერთოს დაქსაქსული უკრაინელები. უკრაინის შეგნებულმა შვილმა, ანდრიამ, პირველად აღიმაღლა ხმა, ავსტრიის [illegible]-პალატაში თავის სამშობლოს დასაცავად. მისი შემწეობით სა[illegible]ლობს უკრაინელთა ყველა საზ[illegible]-საკულტურო დაწესებულებ[illegible]ფ ანდრიას შეწირულებით შ[illegible] უკრაინელთა ეროვნული საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი, რომელსაც შესანიშნავი შენობა აქვს. მიტროპოლიტმა ანდრიამ 1901 წ. სამღვდელოებას მიჰმართა და, სხვათა შორის ამბობდა: კლასსობრივი უფსკრული სამწყსოსა და მწყემსის შორის უნდა ამოივსოს და გასწორდეს, მრევლის ყოველ საკულტურო და საეკონომიო დაწესებულების, როგორც მაგ. განმანათლებელ წრეებისა და საკოოპერაციო დაწესებულებათა სათავეში სამღვდელოება უნდა იდგეს; ვისაც ხალხისათვის ზრუნვა არ შესწევს, იგი მღვდლად არ უნდა წავიდესო. მიტროპოლიტი ანდრია ვლადიმერ სოლოვიოვის იდეების მატარებელია და მისი უნიატობაც ამავე იდეების ფარგალში ტრიალებს. მთელი მოღვაწეობა მიტროპოლიტ ანდრიასი მისი სამშობლო ერის კეთილდღეობისათვის ზრუნვას წარმოადგენს.

## ბალკანეთის მოკავშირეთა შეტაკება

(დეპეშ. პეტ. სააგენტოსაგან)

**18 ივლისი.**

**ათინა.** სამხედრო წარმომადგენლებმა ერთხმად გამოაცხადეს დროებითი ზავის პირობები. სამიჯნო ხაზად მიღებულია მოწინავე ჯარის სადგომები 18 ივლისის შუადღემდე. სამიჯნო ხაზის იქით ყოველგვარი მოძრაობა შეიძლება.

**ბუქარესტი.** ტონჩევმა განაცხადა, რომ ბულგარეთის წარმომადგენელნი მოვიდნენ ზავის ჩამოგდების მტკიცე სურვილით და გადაწყვეტით, ყოველივე თაოსნობას მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად ბულგარელები მხარს დაუჭერენ; ბუქარესტზე უკეთეს ადგილს სადაო საკითხების გადასაწყვეტად ვერ მონახავდნენ.

ოსმალეთის ელჩმა მიართვა მეფეს სულთანის წერილი, რომელშიაც სულთანი ამბობს, რომ ოსმალეთი უარს ვერ იტყვის სტრატეგიულ საზღვრებზე, რომელშიაც ადრიანოპოლი მოჰყვებაო.

**ბელგრადი.** 4 მოწყალების დაი და თავადის მეუღლე დოლგორუკისა წავიდნენ სკოპლეში ხოლერიანთა მოსავლელად.

**სოფია.** ბულგარეთის სააგენტო იტყობინება: ბერძნების ცნობა დედეაგაჩისა და კსანტის აღების შესახებ სწორი არ არის; ბერძენი—ძევლად წაყვანილნი—ბულგარეთში იმყოფებიან. კსანტის ციხეში ცეცხლის გაჩენა ბერძნების ბრალია. ბულგარეთის ჯარის უფროსს ნება ჰქონდა აეფეთქებინა ოტომანის ბანკის სადგომი, სადაც სამხედრო სურსათი ეწყო. ცნობით ოსმალებმა სულ გასწყვიტეს მცხოვრებლები დაპყრობილ სოფლებში.

**სოფია.** მოვიდა წითელი ჯვრის მოსკოვის რაზმი.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. გრეიმ შეკითხვაზე, რომ იღებს თუ არა ინგლისი მონაწილეობას ოსმალეთზე ძალდატანების პოლიტიკაში, რომლითაც ოსმალეთს საშუალება წაერთმევა შეირჩინოს დაკარგული და ან დაბრუნებული ადგილები; გრეიმ სთქვა: საუკეთესო საერთო პასუხი იქნება იმის აღნიშვნა, რომ სახელმწიფოები არ სთვლიან სასურველად ძალით ჩარევას, იმათი დავდაპირველურ განზრახვათა განხორციელებისათვის, ხოლო მე უნდა განვმარტო ეს აღნიშვნა იმითი, რომ ეგეის ზღვაზე მდებარე კუნძულებისა და ალბანეთის საკითხში სახელმწიფოებმა თუ ძალა იხმარეს, ეს იმისათვის, რომ თავიანთი დადგენილებისათვის პატივი ეცემინებიან. ამიტომ არ არის სამტკიცებელი, რომ ისინი არ მიიღებენ რომელიმე მოქმედებას. სხვა საკითხებში, თუმცა არც კი შესაძლებელია, რომ ერთი საკითხი გასწრივი იყოს მეორესი, მე არ შემიძლიან მოგცეთ სასურველი განმარტება, რომელსაც შეეძლება აფიქრებინოს კაცს, რომ ბრიტანიის მთავრობა შორდება სხვა სახელმწიფოთ იმ პირობებში, რომელნიც არსებობენ და რომელთა არსებობის წინდახედვაც შეუძლებელია.

**ბუქარესტი.** რუმინიის რწმუნებულებმა კერძო თათბირზე დამთავრებით გამოარკვიეს შესასწორებელი საზღვრების საკითხი. საზოგადო კრება დაიწყო 4 საათზე. მაიორესკუმ წინადადება შეიტანა, დაიყონ ჯგუფებად, რათა სადავო საკითხები საერთო კრებებზე გამორკვეულად შემოდიოდეს. რწმუნებულთა მეთაურებმა მოიწონეს ეს აზრი. სალამოს ბულგარელები და რუმინელები ერთად თათბირობდნენ. ხვალ დილით გაიმართება ბულგარელებისა და სერბია-საბერძნეთის წარმომადგენლების თათბირი.

**ბუქარესტი.** ელლინთა მეფემ ვენიზელოსს გამოუგზავნა დეპეშა, რომელშიაც პროტესტს უცხადებს ბულგარეთის ცნობას, ვითომც ბერძნებმა კუცოვლახების წინააღმდეგ სიმკაცრე გამოიჩინეს. ამტკიცებს ბულგარელებისაგან მცხოვრებლების ცლეტას და რბევას და იმოწმებს უცხოელ კორესპონდენტებს საბერძნეთის ჯართან მყოფებს.

**სტამბოლი.** ოსმან-ნაზიმ-ფაშა მიდის განსაკუთრებულის მინდობილობით ლონდონში, გაჩერდება ბუქარესტში რუმინიის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად და გადასცემს მეფე კარლს სულთანის წერილს.

**სოფია.** ათი კუცოვლახი პალანკის ოლქიდან, რომელნიც მოვიდნენ კალინკამადან, ამბობენ რომ სერბიელებმა მათი თანა სოფლელები გაჟლიტეს, თითონ კი გადარჩნენ ბულგარელების პატრონობით. კიზილ აგაჩში გაიმართა სროლა ოსმალებთან. სამი ოსმალო დაიჭრა.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**18 ივლისი.**

**უცხოეთი**

**ნიუ-იორკი.** დასავლეთსა და შუა ამერიკაში საშინელი სიცხე და ქუხილია. ჩიკაგოში სიცხისაგან 20 კაცი მოკვდა, კლივლენდაში 12 კაცი, ნიუ-იორკში 4 კაცი.

**ცინცინატი.** მოტოციკლეტთა შეჯიბრების დროს ერთი მოტოციკლეტი ბოძს დაეჯახა. ბენზინის ჭურჭელი გასკდა და ცეცხლი გააჩინა. დაიწვა ორი კაცი, 6 სასიკვდილოდ დაშავდა, 11 მძიმედ დაშავებულია.

**ბერლინი.** დაიწყო საქმე კრუპის ქარხნების სამხედრო სამინისტროში ბოროტ-მოქმედების შესახებ, რომელიც დეპუტატმა ლიბკნეხტმა გამოამჟღავნა. ბრალდ ბულთ ქრთამის აღებას ჰსწამებენ. სასამართლო საქმეს ხალხის დასწრებით არჩევს, რადგანაც მთელი გერმანია და საზღვარგარეთაც დაინტერესებულნი არიან. სასამართლოს კარები დაიკეტება მხოლოდ გერმანიის თავდაცვის საქმეების შესახებ რომ იქნება ლაპარაკი.

**შანჰაი.** მეამბოხენი სასტიკად დამარცხდნენ. მხოლოდ ერთი ვუზუნი აქვთ ხელში. მეამბოხეთა რიცხვი 1000 ჩამოვიდა. ჩრდილოეთიდან მაშველი ჯარი ჩამოვიდა.

**ლონდონი.** გემთსაშენებლოს მუშებისა და სამუშაოს მიმცემთა შორის მომხდარი უთანხმოება გადასწყდა. მუშებმა კენჭი უყარეს სამუშაოს მიმცემთა წინადადებას შესახებ ქირისა და შემდეგ დაიწყეს მუშაობა.

**ლონდონი.** დიდ ბრიტანიის მთავრობამ აცნობა შეერთებულ შტატებს თავის გადაწყვეტილება, არ მიიღოს მონაწილეობა 1915 წ. გამოფენაში, რომელიც სან-ფრანცისკოს გაიმართება. მიზეზი პანამის არხის გაჭრაა.

**რუსეთი**

**პეტერბურგი.** ბეჭდვითი საქმის კომიტეტმა დაიჭირა „რაბოჩაია პრავდა" № 5.

სამოსამართლო პალატამ დაადგინა მოსპოს გრაფ ლევ ტოლსტოის წიგნაკი „ნუ თუ ასე უნდა?" გამოცემა „დიანის რეჩი"-სა. უმაღლესი მანიფესტის ძალით გამომცემლობის გამგეს წინააღმდეგ საქმე არ აღიძრება.

**პეტერბურგი.** ნავი „პესკარის" შემთხვევის გამოძიებამ გამოარკვია, რომ წყალქვეშ მავალი ნავები „პესკარი" და „სტერლიადი" მიდიოდნენ ლიბავიდან რეველს. „პესკარის" უფროსმა შეამჩნია, რომ ნავის ცხვირი არა ჩვეულებრივად მოძრაობდა. უფროსმა უბრძანა მეზღვაურებს ეჩვენებინა გასაჩერებელი ნიშანი გემ „ხაზაროვსკისათვის", რომელსაც „პესკარი"ება. მაშინვე გაჩერება ანიშნეს. ნავმა დაძირვა იწყო, მეზღვაური შერჩა ერთ ადგილს, მესაჭემ ხელი საჭეს ჩასჭიდა. ორივე მხედარი წყალმა წალეკა. ერთი მეზღვაური ფეხებით შედგა ნავში ჩასასვლელზე და წყალი ვერ შევიდა ნავში. წალეკილების ძებნა უნაყოფო გამოდგა.

**პეტერბურგი.** სამხედრო მფრინავი ლეშჩკო ფრენის დროს ჩამოვარდა გატჩინის ტყეში ისეთი ძალით, რომ რამდენიმე ხე ამოაგდო ძირიანად. მანქანა დაიმსხვრა, თითონ მსუბუქად დაშავდა.

**კისლოვოდსკი.** მოვიდა კავკასიაში მეფის მოადგილის წარმომადგენელი სენატორი ნიკოლსკი.

**მინსკი.** საეროზო უფროსის განაჩენით რუბეჟევიჩის ეკლესიის პატრი მილაშევსკი მართლმადიდებელთა საქმის თვითგამგეობისათვის დასჯილია 2 თვის ციხით, ხოლო 13 მრევლის კაცი ორი კვირის ციხით.

**რიგა.** მდინარე დვინაში შესვლის დროს ნავთა კლუბის ნავი „ფრეიას" მოჰვლიჯა ქარმა იალქანი რომელიც ნავის პატრონს კუბიას მოხვდა და წყალში გადააგდო, კუბია წყალში დაიხრჩო.

## წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! ნება მომეცით თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გადაუხადოთ ქუთაისის ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილებას. ქუთაისის ქართულ გიმნაზიას, ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთს", მასწავლებელ ტრიფონ ჯაფარიძეს და ბ. ისიდორე კვიცარიძეს, რომელმაც შრომა მიიღო, შეჰკრიბა ზემოხსენებულ დაწესებულებათა და პირთაგან სხვა და სხვა 724 ცალი ქართული წიგნი 155 მანეთად ღირებული და შესწირა სტამბოლის ქართულ აკაკის წიგნთსაცავს. ვსთხოვთ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს წერილი.

პატივისცემით კონსტანტინეპოლის ქართველთა ჯგუფის მონდობილობით „სახალხო გაზეთის" კორესპონდენტი **ი. ტ.**

## შემოწირულება

ბ-ნო რედაქტორო! ადრესის უცოდინარობისა გამო, ნება მომეცით თქვენი რედაქციის საშუალებით მივაწოდო, დროებით მაძღარმა, შიმშილ წყურვილს ჩვეულმა, მისივე ე. ი. შიმშილ წყურვილის და უბედურების ყოველ წუთს მამლოდინემ, თითონ ავადმყოფმა, ჩემს სამშობლოს მოციქულმა, ჩემი პირადიული სიმდიდრის მეოთხედი, ორი მანეთი, ათის წლის უნახავს, ძვირფას პოეტს იროდიონ ევდოშვილს,

**ობოლი.**

პოეტ ევდოშვილის სასარგებლოდ. სია ხელის მომწერლებისა:

იოსებ ჯანგველაძე 50 კ., პავლე ესიავა 50 კ., ვასილი კარსელი 50 კ., И. Палiенко 25 კ., გ. ფერაშვილი 20 კ., Д. Горлиновъ 10 კ., დავით ყაველაშვილი 25 კ., იასე ქავთარაძე 60 კ., ა. ვალიშვილი 25 კ., გ. მ. ბატიშვილი 20 კ., ილია მესერიძე Казарова 50 კ., [illegible] 50 კ., რ. რომანიშვილი დგებუაძე 30 კ., № 1 მ., ი. ბურციკაძე 15 კ., ვ. კვიქინაძე 50 კ., დიმიტრი ნიკოს ძე შენგელია 20 კ., სამსონ ლევანის ძე ქობულია 20 კ., №№ 1 მ., ტარიელ რამიშვილი 50 კ., № 20 კ.

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ეს ფული (8 მან. და 60 კ.) გადასცეთ პოეტ ევდოშვილს. მე ულრმეს მადლობას უძღვნი იმ პირებს, რომლებმაც თანა მიგრძნო ამ საქმეში.

დავშთები მარად პატივისცემით
**იოსებ გლახას ძე ჯანგველიძე.**

ბ-ნო რედაქტორო! მგოსან ევდოშვილის ავადმყოფობით დაღონებულნი, ვაგზავნით ამ წერილთან ერთად 4 მანეთს. იმედი გვაქვს ავადმყოფი მგოსანი არ გვიწყენს [illegible] ამ მცირე დახმარებისათვის. [illegible] ვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენს ავადმყოფ მგოსანს.

ვასილ ყუფარაძე, კოლია პატარაია; ილია ფოფხაძე; მიხეილ კბილაძე; ვასილ კაპანაძე; ქრისტეფორე ანდრიადი; ივანე აბზიანიძე; მიხ. ბოჭორიშვილი.

მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო! ავადმყოფ მგოსნის ირ. ევდოშვილის სასარგებლოდ ვგზავნით მცირეოდენ წვლილს მოაგარაკენი „პატარა-ცემი"-სა (ექ. ვახტანგ ლამბაშიძის სანატორიუმისა). შემომწირველნი: ხუთ-ხუთი მანეთი: ვახტ. ლამბაშიძემ, კნ. თეკლე აბაშიძისამ, საშამ, ალ. საყვარელიძემ, ერ. დეკანოზიშვილმა და ნ. წუწუნავამ; სამი მანეთი ვ. ამბროჟმა; ორ-ორი მანეთი: პ. ინგოროყვამ, ს. აბაშელმა, ნ. აბდუშელიშვილმა და №-მა. თითო მანეთი: კნ. ლორთქიფანიძისამ და № 1-მა, ათი შაური ამბაკომ. სულ 43 მან. და ათი შაური.

**ა. ინგოროყვა, ს. აბაშელი.**

**რედაქციისაგან:** შეგროვილი ფული (43 მ. 50 კაპ.) დანიშნულებისამებრ გადაეცა.

ბ. რედაქტორო! გთხოვთ, ავადმყოფ პოეტის იროდიონ ევდოშვილის სასარგებლოდ დ. ცხინვალში შეკრებილ ფულის შემომწირველთა სია დაგვიბეჭდოთ: თითო მანეთი: მარიამ წინამძღვრიშვილისა, გიორგი მაჩაბელი, მ. ცისკარიშვილი და მ. დავითაშვილისა; ათ-ათი შაური: ქვრივი გაიანე ქონიშვილისა, ანიკა მელიქიძისა, გიორგი მელიქიძე, დარია ცერაძისა, მიშა წინაიძღვრიშვილი, ოლა სოლოღაშვილი, ნიკოლოზ ქონიშვილი, ქვრივი ნინო ქონიშვილისა, გიორგი ქონიშვილი, მარუსა არსენაშვილისა, საშა ამაშუკელისა, ეკატერინე ორჯონიკიძისა, ოქროპირიძისა, ლაზარე კვინიკაძე, ვასილ პუცოვი, ლიზა ორჯონიკიძე, კ. ბექთაბეგოვი, პოლიტიკური მოწინააღმდეგე, გრიგოლ ოვანოვი, -ასონ ხიმშიევი, გ. ბაქრაძე, მღ. დიმიტრი კასრაძე და დარიკო; ორი აბაზი—მაშო ბასიშვილი; ექვს ექვსი შაური: ანნა კანდელაკისა, ვანო ცერაძე, დათა ანანიაშვილი, სონა დედინოვისა და გრიგოლ კულაევი; თითო აბაზი: მღ. შერმაზანოვი, კ. შერმაზანოვისა, ა. დედანაშვილი, ვ. მაჩაბელი, ა. ელიოზოვი, ნ. [illegible]შვილი, ნიკოლოზ [illegible], სოსიკო გოგინოვი, ისაკ ბედიანიძე, ა. კვალიძე, შ. მაჩაბელი და იოსებ კასრაძე; სამ სამი შაური: კ. შავლოხოვისა, თამარა კვანჭახაძე და შეგირდი; ორ-ორი შაური: შეგირდი, ანნა წერეთლისა, ფალენიშვილი, ვ. თედიაშვილი, დ. გაგნიძე, მ. ცერაძე, ისაკა ქესანაშვილი, ივანე კრტიაშვილი, ელენე კვანჭახაძისა, გრიგოლ ელიოზოვი და სონა ლაშხისა. სულ 21 მან. 35 კაპ. აქედან ფოსტის ხარჯს 29 კ. გამოვდივართ.

**მარიამ გიორგის ასული წინამძღვრიშვილისა.**

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.**


## მატარებელთა მიმოსვლა
(ზაფხულობით)
18 აპრილიდან
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** სადამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათომისაკენ:** № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**მცხეთაზე:** № 65, **საგარეუბ.** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **საგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

**ჯულფისკენ:** **საფ.** № 4, 3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

**ყარსისკენ:** **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24, 23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

[illegible]

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1—2 პ. **ფომინა-თხიმთვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 **ა. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 **გ. თ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

[illegible]

## ექიმი
ქ. სოხუმში
**ივანე სვიმონის ძე ფრანგულიანი**

ღებულობს შინაგან და დედათა სნეულების ავადმყოფებს დილის 9 საათ. ვიდრე 12 საათამდე და სადამოს 6—8 საათ. კოლიუბაკინის ქუჩა (ადმირალტეისკაია), გარდენინას სახლი, ქ. ისაჯანოვის პანსიონში 1403.

ჩუდურეთის შესახვ. № 5, 1-ლ კომერც. სასწავლებლის ზემოდ, ვკატერინ. ქუჩ. ბოლოს, № 7.

## გამოცდილი მასწავლებლები

ამზადებენ: **სიმწიფის მოწმობაზე,** ვაჟთა და ქალთა გიმნაზიის 2, 3, 4, 5, 6 კლას. **უმაღლესი სასწავლებლის** ყველა კლასისათვის; **აფთიაქის მოწაფისა;** საკლასო ხარისხისა და პირველდაწყ. **სკოლის მასწავლებლის** მოწმობისათვის. მისამართი: მათემატიკის მასწავლებელი ივ. მარკ. მაჩაიძე, ნახვა შეიძლება დილით 12—1 ს, სადამოთი 5—7 საათ. 1400

## ვკისრულობთ:

**თარგმნას** სიტყვა-კაზმულისა და სხვა დარგის ნაწარმოებისას და აგრეთვე ყოველგვარ საბუთის ქაღალდებისას.

**კორექტურას** ქართულად გამოსაცემ წიგნებისას.

**შესწორებას** დასაბეჭდად განზრახულ ხელნაწერებისას.

**გამოცემას** წიგნებისას ავტორთა [illegible]

## მემნაშვასარქიანის
პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

**დილით:**

**„606" და „914"**

11—12 ს. **შეხაპუნება კონსულტაციურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**ქ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აგეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

**ქ. დ. გურგენიძე.** 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

**საღამოთი:**

[illegible]

## ექიმი
ა. ზ. ხოლოდოვსკი
[illegible]

გამოსულია და იყიდება
## ი. გედევანიშვილის პიესა
## „მამცემი"
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

**გამართულია ხელის მოწერა 1913 წლის**

## „ხმა კახეთისა"-ზე

**გაზეთის ფასი ფოსტით გაგზავნით:** 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 1 მ. 80 კაპ., 1 თვით 40 კ. **სიღნაღში და სოფლებში:** 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 1 მ. 30 კ., 1 თვით 25 კ., ცალკე ნომერი ყველგან 3 კ. **გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. კანტორა** დროებით მოთავსებულია ქ. შ. წ.-კ. გამ. სიღნაღის განყ. **წიგნის მაღაზიაში.** გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადგილებში: სიღნაღში გაზ. „ხმა კახეთის" კანტორაში, სოფ. ველისციხეში ლ. ბერიაშვილის აფთიაქში, თელავში—ვანო პაატაშვილთან, გურჯაანში—ექ. დ. ჯავახიშვილთან, კარდენახში—კოლა დარაშვილთან, ვაქირში—მღ. ნ. ბარნაბიშვილთან, ბოდბისხევში—დ. ჩახნაშვილთან, ბაკურციხეში—ორჯონიკიძეს მაღაზიაში, საქვემო-მაჩხაანში—ალექს. ჯანყარაშვილთან, ქობოში—სიკო იაშვილთან, ზაქათალაში—ბლად. ბ. ფურცელაძესთან, ჯუგაანში—მღ. ი. მანჩიაშვილთან. **გაზეთის დასაკვეთი ფასი და სხვა ანგარიშები** უსათუოდ ამ მისამართით უნდა **გამოიგზავნოს** Сигнахъ К. I. Ткавздзе. 1370

## მუდამ დღე მოგვდის

ახალ-ახალი

**მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.**

ახალი მსხვილ-მარცვლოვანი **ხიზილალა** [illegible]

**თევზის მრეწველნი ძმ. მეველოვები.**

[illegible] **კონსერვები.**